

მაია ახალაძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის ექსპერტი

საპროცესო ვადები საქართველოს უზენაესი
სასამართლოს პრატიკაში
(2016-2020 წლის I ნახევარი)

სტილისტ-რედაქტორი

სოფიო გამულაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

გარიპა გაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2021

შინაარსი

შესავალი.....	4
1. დიდი პალატის განჩინება	7
2. საკასაციო ან კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება – საპროცესო ვადების დარღვევის შედეგი	11
3. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების პრაქტიკა	24
4. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კერძო საჩივრის უარყოფის პრაქტიკა	44
5. საპროცესო ვადის აღდგენის საკითხი	66
6. საპროცესო ვადის პრობლემა საქმისწარმოების განახლებისას	71
სამართლებრივი დასკვნა	76

შესავალი

ვადა დროში არსებული მომენტი ან გარკვეული მონაკვეთია, მაგრამ დრო, ვადისგან განსხვავებით, არ არის სამართლებრივი კატეგორია. ვადა დროის ნაწილია, ესე იგი, დრო მოიცავს ვადასაც. დროუსასრულოა, ხოლო ვადა კონკრეტული სუბიექტის (პირის, კანონმდებლის) ნებით განსაზღვრული დროის მონაკვეთია, რომელიც კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს.¹

ვადა გულისხმობს დროის განსაზღვრულ პერიოდს (მომენტს), რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგს.²

დროის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს სამოქალაქო-საპროცესო სამართალში. საპროცესო ვადა არის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.³

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. აღნიშნული ნორმით, სასამართლოში სამოქალაქო საქმისწარმოებისას ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელების ვადის გამოთვლა წესრიგდება არა მატერიალური კანონმდებლობით, არამედ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის VII თავით დადგენილი საპროცესო ვადების გამოთვლის წესიდან.⁴

უდავოა, რომ სასამართლომ საქმე სამართლიანად უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ საქმის სამართლიანად გადაწყვეტას მაშინ აქვს ფასი, როცა ეს მოხდება თავის დროზე. საქმის გაჭიანურება ხშირად, პრაქტიკულად, უსამართლობის ტოლფასია, ამიტომ მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დროულად დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.⁵

საპროცესო ვადებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალნარმოებაში, ვინაიდან სამართალნარმოების მიზანია არა მხოლოდ პირის დარღვეული უნდა ან სადაცოდეს უფლებების დაცვა, არამედ ყოველივე ამის შესრულება გონივრული ვალის მიხედვით.

¹ დროისა და ვადის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. ზოიძე/ზარანდია, მოძღვრება ვადების (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, სამართლის უურნალი, 4-5, 2003; დ. სუხიტაშვილი, სამართალი და დრო, 2004; ზარანდია, სახელშეკრულებო ვადების შესრულების ადგილი და ვადები, დის, 2002. მითითებულია: ნ. კვანტალიანი, სკ-ის კომენტარი, მუხლი 121, გვ.697.

² ზ. ახვლედიანი, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 121, გვ. 306, მითითებულია: ნ. კვანტალიანი, სკ-ის კომენტარი, მუხლი 121, გვ.697.

³ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, 2005, გვ. 183. მითითებულია: ნ. კვანტალიანი, სკ-ის კომენტარი, მუხლი 121, გვ.700.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის № ას-1282-ა-11-2011 განჩინება. მითითებულია: ნ. კვანტალიანი, სკ-ის კომენტარი, მუხლი 121, გვ.700.

⁵ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, 215.

გარკვეულ შემთხვევებში კანონმდებელი პირდაპირ არ აწესებს რაიმე კონკრეტულ პერიოდს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, თავად განუსაზღვროს მხარეს რა ხდება, თუნდაც საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ შესაგებლის წარდგენისათვის საპროცესო ვადის დაწესებისას და სხვა შემთხვევებში. ასეთ დროს მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საპროცესო ვადის გაგრძელება ობიექტური საჭიროების შემთხვევაში და, თავის მხრივ, სასამართლოც უფლებამოსილია, გაუგრძელოს მხარეს საპროცესო ვადა გონივრულ ფარგლებში (სსკ-ის 64-ე მუხლი).⁶

სასამართლოს მიერ დასადგენი ვადებისაგან განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იმპერატიულად განსაზღვრული ვადები. ძირითადი განსხვავება სწორედ ისაა, რომ კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. შესაბამისად, საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს მკაცრად მითითებულ დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შეუსრულებლობას ნორმის ადრესატი მხარისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.⁷

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული პირის უფლება, თავის უფლებათა დასაცავად, მიმართოს სასამართლოს, სამოქალაქო პროცესში შეზღუდულია სამართალწარმოების ეკონომიურობისა და მხარეთა თანასწორობის დაცვის პრინციპებით. ცხადია, რომ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ „არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება, დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება „თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდუალური რესურსებისა და საჭიროების საფუძველზე“.

(Golder judgment, p. 19, para.38, quoting the “Belgian Linguistic” judgment of 23 July 1968, Series A no. 6, p. 32, para. 5).⁸

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო/საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადით შეზღუდვა სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს ემყარება, თუმცა ეს ვადა სასამართლოს მხრიდან ყოველთვის ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი, რათა დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს ამავე კოდექსის მე-2 მუხლით, ასევე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, ამასთანავე, სასამართლოს მხრიდან საკითხის ზედმიწევნითი ანალიზი უზრუნველყოფს მოგებული მხარის ინ-

⁶ ტექსტში სსკ-აღნიშნავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, ხოლო სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსს.

⁷ სუსგ 1 თებერვალი 2017, №ას-108-101-2017.

⁸ სუსგ 26 ოქტომბერი, 2018, № ას-1301-2018, 18 მაისი, 2018, №ას-366-366-2018, 1 მარტი, 2019, №ას-1829-2018.

ტერესების დაცვასაც, რაც გონივრული პროპორციაა შეჯიბრებითობის პრინციპი-დან გამომდინარე (სსკ-ის მე-4 მუხლი).⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძმით ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

წინამდებარე განზოგადებაში მოცემულია საპროცესო ვადებთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის გაცნობისა და გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის – უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება,¹⁰ რომელმაც სსკ-ის 259¹-ე მუხლის, როგორც სპეციალური ნორმისა და ამავე კოდექსის 60-ე მუხლის, როგორც ზოგადი ნორმის სამართლებრივი ბუნების შედარებით განმარტა პრაქტიკაში არაერთგვაროვანად გაგებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტი.

ნაშრომში თემატურად მოცემული და აღწერილია საპროცესო ვადების დარღვევის გამო საკასაციო ან კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კერძო საჩივრის უარყოფის პრაქტიკა, საპროცესო ვადის აღდგენისა და საქმისწარმოების განახლებისას საპროცესო ვადის პრობლემა და სამართლებრივი დასკვნა.

საპროცესო ვადების შესახებ უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის განზოგადება ხელს შეუწყობს საპროცესო ეკონომიკის პრინციპის დაცვას სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მხარეთა სამართლებრივი კულტურისა და საპროცესო დისციპლინის ამაღლებას, რაც, საბოლოოდ, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა.

⁹ სუსგ 4 მაისი, 2018, №ას-282-282-2018.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება 30 დეკემბერი, 2014, საქმე №ას-1161-1106-2014.

1. დიდი პალატის განხილვება

დიდი პალატის განჩინებით¹¹ – კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესა-მოწმებლად.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, სააპელაციო სა-ჩივრის წარმდგენი მხარისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომის შესახებ, როდესაც გამოცხადდა გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა დაიწყო 2014 წლის 16 ივ-ლისიდან (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და ამოიწურა 2014 წლის 29 ივნისს. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგე-ნილ იქნა 2014 წლის 30 ივნისს. განჩინების სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხ-ლი, 61-ე მუხლის მეორე ნაწილი, 61.3 მუხლი და 259¹-ე მუხლი.

კერძო საჩივრის ავტორმა სადავოდ გახადა ის ფაქტი, რომ კანონით დადგენილ ვა-დაში სასამართლოში არ გამოცხადებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად. კერძო საჩივარი იმ დასაბუთებას ემყარება, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება არა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე, არამედ მომდევნო დღიდან, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ვადის დაცვითაა შეტანილი.

დიდმა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომის თაობაზე, ასევე დაეთანხმა სააპელაციო სასამარ-თლოს მსჯელობას იმასთან მიმართებით, რომ მხარეთათვის ცნობილი იყო გადაწ-ყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის თარიღთან დაკავშირებით, თუმცა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის დაწყებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საა-პელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშ-ვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოც-ხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი ან – თუ ასე-თი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურ-ველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუ-ციონ ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, გამოც-ხადეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; ნინააღმდეგ შემთხვე-ვაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-

¹¹ სუს დიდი პალატის განჩინება 30 დეკემბერი, 2014, საქმე №ას-1161-1106-2014.

ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, წლებით, თვეებით ან დღეებით გა-მოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვ-ლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივ-რის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის ათვლა, 259¹-ე მუხლის პირველი ნა-ნილის დანაწესიდან გამომდინარე, დაიწყო 2014 წლის 16 ივლისიდან, ანუ 30-ე დღი-დან, რაც ენინააღმდეგება იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, რომლის თანახმადაც, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 259¹-ე თანახმად, გასაჩივრების მსურ-ველ მხარეს აქვს არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიბაროს გასასაჩივრე-ბელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სსსკ-ის 259¹-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება, გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრე-ბის უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა ანესრივებს გასაჩივრების უფლე-ბის წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი – იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

აპელანტმა მხარემ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენის დასაწყისად სწორად მიიჩნია 2014 წლის 17 ივლისი და ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო დღე არის 2014 წლის 30 ივლისი, როცა წარდგენილ იქნა კიდეც სააპელაციო საჩივარი, რაც დასტურდება საქმის მასალებით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრაქტიკაზე, რომელიც ადასტურებს, რომ სასამართლოს მიერ პროცე-დურული წესის, განსაკუთრებით კი – გასაჩივრების უფლების გამოყენების ვა-დების მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა, ხელყოს სასამართლოსადმი წვდო-მის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია, „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლო-სადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასა-მართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის. (*Liakopoulou v.Greece, 20627/04, §17, 2006, ECHR*).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამარ-

თლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ, ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება, დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. საქმეში – „გიორგი ნიკოლაევიჩ მიხაილოვი რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლომ ვადის შემზღვდველი პროცედურული ნორმა ისეთნაირად განმარტა, რომ ხელი შეუშალა მომჩივნის საჩივრის გამოკვლევას, რის შედეგადაც ამ უკანასკნელის სასამართლოს ეფექტური დაცვის უფლება დაირღვა“. (Georgiy Nikolayevich Mikhayliv v. Russia, 4543/04, §57, 2010, ECHR). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება **სამართლებრივი სიცხადის პრინციპს** (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ გამოიკვეთა პროცედურული მოთხოვნის არაგონივრული კონსტიუქცია, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ საპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 259¹-ე მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს განსაზღვრავს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლი კი არის ზოგადი ნორმა, რომელიც მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე კოდექსის სპეციალური ნორმა განსხვავებულ ქცევის წესს არ ადგენს.**

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 259¹-ე მუხლი უნდა უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით.

სსსკ-ის მე-60 მუხლი ანესრიგებს ამავე კოდექსის სხვადასხვა ინსტიტუტით გათვალისწინებული საპროცესო ვადის დენის დასაწყისის მომენტს და, შესაბამისად, ვრცელდება სსსკ-ის 259¹-ე მუხლით დადგენილ ვადებზეც.

დიდმა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სსსკ-ის 259¹-ე მუხლით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი, კერძოდ, სასამართლო შეტყობინების (უწყების) ჩაბარების მსგავსად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება გულისხმობს როგორც უშუალოდ ამ მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ჩაბარებას, ასევე – ამ გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმუციას, რომელიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა გადაწყვეტილება.

სსსკ-ის 259¹-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში გასა-ჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“, მიგვითითებს პრეზუმაციაზე, რომლის თანახმად კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწერეს ებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის ათვლის საპროცესო წესი მოცემულია ამავე კოდექ-სის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით.

შესაბამისად, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს, როგორც უშუალოდ დაიწერეს ებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ასევე – ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის პრეზუმაციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (სსსკ-ის მე-60 მუხლი).

2. საკასაციო ან კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება – საპროცესო ვადების დარღვევის შედეგი

2.1. ხარვეზის შეუვსებლობა საკასაციო ან კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მრავლად გვხვდება საქმეები, როცა წარ-
დგენილი საკასაციო საჩივარი ან კერძო საჩივარი განუხილველად რჩება სასა-
მართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწო-
რებლობის გამო.¹² სასამართლო, როგორც წესი, ამ შემთხვევაში სამართლებრივ სა-
ფუძვლად იყენებს სსსკ-ის მე-60, 63-ე და 396.3 მუხლებს. სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახ-
მად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სა-
სამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომ-
ლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. და-
სახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დად-
გენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებუ-
ლი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ და-
კარგა ინტერესი დავის მიმართ.

წესისამებრ, სასამართლო ამ შემთხვევაში სამართლებრივ საფუძვლად იყენებს სსსკ-
ის მე-60, 63-ე და 396.3 მუხლებს. სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმე-
დების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგე-
ნილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპრო-
ცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. დასახელებული ნორმიდან გა-
მომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში
ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

სსსკ-ის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპა-
სუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასა-
მართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშ-

¹² სუსგ-ები: 11 თებერვალი, 2016, №ას-4-4-2016, მრავალთა შორის: 5 თებერვალი, 2016, №ას-28-
28-2016, 15 თებერვალი, 2016, №ას-44-44-2016, 29 თებერვალი, 2016, №ას-88-84-2016, 24 მარტი,
2016, №ას-126-122-2016, 4 მარტი, 2016, №ას-131-127-2016, 11 მარტი, 2016, №ას-174-169-2016, 7
აპრილი, 2016, №ას-226-216-2016, 11 აპრილი, 2016, №ას-232-221-2016, 14 აპრილი, 2016 №ას-
248-236-2016, 16 თებერვალი, 2017, №ას-98-92-2017, 13 მარტი, 2017, №ას-146-138-2017, 23 ივ-
ლისი, 2019, №ას-1072-2019, 9 სექტემბერი, 2019, №ას-1104-2019, 10 იანვარი, 2020, №ას-1159-
2019, 6 იანვარი, 2020, №ას-1616-2019, 14 თებერვალი, 2020, №ას-5-2020, №ას-1457-2019, 6 თე-
ბერვალი, 2020 5 მარტი, 2020, №ას-12-2020, 27 მაისი, 2020, №ას-44-2020, 25 თებერვალი, 2020,
№ას-72-2020, 25 თებერვალი, 2020, №ას-85-2020, 16 მარტი, 2020, №ას-152-2020, 11 მაისი, 2020,
№ას-159-2020, 11 მაისი, 2020, №ას-210-2020, 28 ივლისი, 2020, №ას-302-2020, 22 ივლისი, 2020,
№ას-370-2020, 14 სექტემბერი, 2020, №ას-530-2020, 6 ივლისი, 2020, №ას-551-2020, 19 მაისი,
2020, №ას-1806-2019, 27 მარტი, 2020, №ას-182-2020, 3 ივნისი, 2020, №ას-281-2020, 19 ივნისი,
2020, №ას-326-2020, 21 ივლისი, 2020, №ას-1087-2019, 26 თებერვალი, 2020 №ას-1755-2019, 6
იანვარი, 2020, №ას-1909-2018.

ნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუსილველად დარჩება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დაადგენს ხარვეზს და მხარეს განუსაზღვრავს საპროცესო ვადას შესაბამისი საპროცესო მოქმედების განხორციელების მიზნით.

2.2. კასატორმა ნაწილობრივ შეავსო ხარვეზი, რაც საკასაციო საჩივრის განუსილველად დატოვების საფუძველი გახდა.

ერთ საქმეზე¹³ საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა 5 (ხუთი) დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენილი დასაბუთებული საკასაციო საჩივრისა და ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენილი საკასაციო განაცხადის წარდგენა. კასატორმა წარადგინა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი, რაც შეეხება დასაბუთებულ საკასაციო საჩივარსა და დაზუსტებულ საკასაციო განაცხადს, მხარეს ისინი არ წარუდგენია და არც საპროცესო ვადის გაგრძელება არ მოუთხოვია მათ წარსადგენად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია რომ, **მხარემ სრულყოფილად არ გამოასწორა დადგენილი ხარვეზი, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუსილველად დატოვების საფუძველია.**

2.3. საკასაციო პალატამ რამდენჯერმე გაუგრძელა კასატორს საპროცესო ვადა ხარვეზის შევსების მიზნით, მაგრამ საბოლოოდ, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, საჩივარი განუსილველად დატოვა.

სხვა საქმეზე¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა ვადით 5 (ხუთი) დღეში სახელმწიფო ბაჟის – 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით – კასატორის წარმომადგენლის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კასატორს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა 5 (ხუთი) დღით და დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ჩარიცხვის ქვით-

¹³ სუსგ 5 თებერვალი, 2016, №ას-28-28-2016, ანალოგიურია სუსგ-ები: 10 თებერვალი, 2016, №ას-54-52-2016, 29 თებერვალი, 2016, №ას-111-107-2016.

¹⁴ სუსგ-ები: 3 მაისი, 2016 №ას-36-36-2016, 17 ივნისი, 2016, №ას-403-386-2016, 3 აპრილი, 2017, №ას-271-259-2017, ანალოგიურია: 1 თებერვალი, 2016, №ას-1274-1195-2015, 24 დეკემბერი, 2018, №ას-1436-2018, 15 თებერვალი, 2018, №ას-1547-1467-2017.

რის დედნის წარმოდგენა. ამავე პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინებით, საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე თავად კასატორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა 3 (სამი) დღით. საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება კასატორს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით 2016 წლის 21 აპრილს. შეტყობინების ტექნიკური საშუალებით (ტელეფონით) ჩაბარება, კანონის დანაწესებითან შესაბამის ქმედებას წარმოადგენს და ეს შეტყობინება, კანონის ძალით, მისი განხორციელების დღეს – 2016 წლის 21 აპრილს ითვლება მხარისათვის ჩაბარებულად.

საკასაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია საპროცესო ვადის დენის დასაწყისი და მიიჩნია, რომ ხარვეზის განჩინებით განსაზღვრული სამდლიანი ვადის დენა დაიწყო მოვლენის დადგომის მომდევნი დღეს – 2016 წლის 22 აპრილს და ამოიწურა 2016 წლის 24 აპრილს, მაგრამ რაკი 24 აპრილი დაემთხვა დასვენების დღეს, საპროცესო ვადა დასრულებულად მიიჩნია 2016 წლის 25 აპრილს. ვინაიდან, ამ დროის განმავლობაში მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით არ მიუმართავს სასამართლოსათვის, საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

2.4. სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით (სსსკ-ის მუხლი მე-5), როდესაც თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული დავის ორივე მხარეს მყოფი სუბიექტების ინტერესები, სწორედ ამ მიზნითაა დაწესებული საქმის განხილვის ვადები, რათა მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურებით არ შეიღავოს იმ მოდავე პირის უფლებები, რომელიც მათ სასამართლო წესით დაცვას მოითხოვს.

სხვა საქმეში¹⁵ კასატორს, მისი წარმომადგენლის შუამდგომლობების საფუძველზე, ორჯერ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა, მაგრამ მან ნაწილობრივაც არ შეავსო ხარვეზი, კერძოდ, კასატორმა მინიმალური ბაჟიც კი არ გადაიხადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 64-ე მუხლის დანაწესი, რომ სასამართლომ შეიძლება საპროცესო ვადა გააგრძელოს მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, დისპოზიციურია და სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს საპროცესო ვადის გაგრძელების მსურველი მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული მიზეზის დასაბუთების სარწმუნობითა და საფუძვლიანობით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით (სსსკ მუხლი 5), როდესაც თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული დავის ორივე მხარეს მყოფი სუბიექტების ინტერესები, სწორედ ამ მიზნითაა დაწესებული საქმის განხილვის ვადები, რათა მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურებით არ შეიღავოს იმ მოდავე პირის უფლებები, რომელიც მათ სასამართლო წესით დაცვას მოითხოვს.

¹⁵ სუსგ 3 აპრილი, 2017, №ას-271-259-2017.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან კასატორს მიეცა გონივრული ვადა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის, რაც მან არ გამოიყენა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორს საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც მოცემული საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

2.5. კასატორმა ხარვეზი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შეავსო, რის გამოც საკასაციო სასამართლომ საჩივარი განუხილველად დატოვა.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,¹⁶ ხარვეზის განჩინებით განსაზღვრული ხუთდღიანი ვადის დენა დაიწყო მოვლენის დადგომის მომდევნო დღეს – 2016 წლის 30 ივლისს და ამოინურა 2016 წლის 3 აგვისტოს. საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების თაობაზე განცხადება და სახელმწიფო ბაჟის ქვითარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანცელარიას ჩაპარდა 2016 წლის 9 აგვისტოს, საპროცესო ვადის დარღვევით. საკასაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია საპროცესო ვადის დენის დასაწყისი და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

2.6. საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის ავტორთა განმეორებითი შუამდგომლობა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ არ დააკმაყოფილა და კერძო საჩივარი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, განუხილველად დატოვა.

საქმის მასალების მიხედვით, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გასვლამდე კერძო საჩივრის ავტორებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვეს ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება. აღნიშნული განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა და 2015 წლის 3 ივლისის განჩინებით დადგენილ ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 დღით.

სსსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის მიხედვით. სსსკ-ის მე-60, 61-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით დადგენილი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 24 დეკემბერს და დასრულდა იმავე წლის 29 დეკემბრის 24 საათზე. აღნიშნულ საპროცესო ვადის განმავლობაში, 2015 წლის 28 დეკემბერს, კერძო საჩივრის ავტორებმა კვლავ მიმართეს სასამართლოს საპროცესო ვადის გაგრძელების თხოვნით იმ მიზეზით, რომ დადგენილი ვადით ვერ ახერხებენ ხარვეზის შევსებას, მაგრამ მათ ხარვეზის შეუვსებლობის დამაბრკოლებელი კონკრეტული მიზეზი არ მიუთითებიათ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე საპროცესო ვა-

¹⁶ სუსგ 1 სექტემბერი, 2016, №ას-696-667-2016.

დის გაგრძელება წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალ-დებულებას. შესაბამისად, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსა-ჯულება სამოქალაქო საქმეებზე უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე. აღნიშნული-დან გამომდინარე, ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ეფუძნება მიზანშეწონილობას, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროცესის მონაწილე ყველა მხარის ინტერესი.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კერძო საჩივრის ავტორებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ერთხელ უკვე გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა და კვლავ დაუსაბუთებლად ითხოვენ, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩინია ხარვეზის შევსების საპროცესო ვა-დის გაგრძელება.

სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გა-ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემ-თხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კერძო საჩივრის ავტორებმა დაკარგეს საპროცესო მოქ-მედების შესრულების უფლება, ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცე-სო ვადის განმავლობაში არ შეავსეს ხარვეზი, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.¹⁷

2.7. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა საკასაციო საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლის გამო.

საქმის ფაბულის მიხედვით¹⁸, კასატორის წარმომადგენელი ესწრებოდა 2016 წლის 25 აპრილის სხდომას, როდესაც გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღე არის 2016 წლის 15 მაისი, ხოლო 30-ე დღე – 2016

¹⁷ სუსგ 4 იანვარი, 2016, №ა-3169-ა-13-2015, სუსგ 27 თებერვალი, 2017, №ას-289-273-2017.

¹⁸ სუსგ 29 ივნისი, 2016, №ას-590-565-2016, ანალოგიურია: სუსგ-ები: 11 ივლისი, 2016 №ას-640-611-2016, 26 ივლისი, 2016, №ას-667-638-2016, 16 დეკემბერი, 2016, №ას-1127-1083-2016, №ას-124-120-2016, 18 თებერვალი, 2016, 1 მარტი, 2016, №ას-188-180-2016, 11 ივლისი, 2016, №ას-639-610-2016, 23 თებერვალი, 2017, №ას-259-247-2017, 20 იანვარი, 2017, , №ას-36-32-2017, 9 ივლისი, 2018, №ას-942-2018, 12 ივლისი, 2019, №ას-839-2019, 03 ივლისი, 2020, №ას-464-2020, 30 ივნისი, 2020, №ას-496-2020, 14 ივლისი, 2020, №ას-552-2020, 22 ივლისი, 2020, №ას-587-2020, 04 თებერვალი, 2020, №ას-86-2020, 16 ივლისი, 2020, №ას-560-2020, 20 ივლისი, 2020, №ას-573-2020, 20 ივლისი, 2020, ას-608-2020, 11 სექტემბერი, 2020, №ას-773-2020, 21 თებერვალი, 2020, №ას-1354-2019.

ნლის 25 მაისი. გამომდინარე აქედან, მხარეს ან მის წარმომადგენელს შეეძლო, გასა-ჩივრებული განჩინება ჩაეტარებინა 2016 წლის 15 მაისიდან 2016 წლის 25 მაისამდე, თუმცა, როგორც საქმიდან ირკვევა, კასატორის წარმომადგენელმა სააპელაციო სა-სამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა 2016 წლის 30 მაისს, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 35 დღეს.

სასამართლომ მიუთითა, რომ მხარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გა-მოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა არ გამოცხადებულა სასა-მართლოში, რაც მიუთითებს საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო წესის დარღვევაზე, რადგან სსკ-ის 259¹ მუხლის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების გასა-ჩივრების მსურველი პირის მიერ საპროცესო წესის დაცვად განიხილება დადგენილ ვადაში მისი უშუალოდ გამოცხადება სასამართლოში (**სუსგ ქადაგის 2013 წელი**). სსკ-ის 259¹ მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხა-რეს აქვს არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწ-ყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხა-რის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სსკ-ის 259¹ მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსა-ხილველი ნორმა აწესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხო-ლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი – იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლის დანაწესი (**სუსგ დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის ქადაგის 1161-1106-2014 განჩინება**).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 2016 წლის 26 მაისს – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 31-ე დღეს. შესაბამისად, გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლის 26 მაისს და დასრულდა 2016 წლის 15 ივნისს.

საკასაციო სასამართლოს აღნიშვნით, საქმეში წარდგენილი საკასაციო საჩივრით დასტურდება, რომ ის საპელაციო სასამართლოს კანცელარიას ჩაჰარდა 2016 წლის 22 ივნისს, საკასაციო საჩივრის შედგენის თარიღად მითითებულია 2016 წლის 20 ივ-ნისი, რაც სსკ-ის 259¹, მე-60.2.-ე, 61.3.-ე, 63-ე მუხლების დანაწესების გათვალისწი-ნებით უტყუარად ადასტურებს საპროცესო კოდექსით დადგენილი საკასაციო სა-ჩივრის შეტანის ვადის დარღვევას და მისი განუხილველად დატოვების საფუძვე-ლია.¹⁹

სხვა საქმეზე კასატორმა გადაწყვეტილების ასლი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 31-ე დღეს ჩაიბარა. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის წარ-დგენის კანონით გათვალისწინებული 21 დღიანი ვადის ათვლა გადაწყვეტილების სა-რეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო ე.ი. 31-ე დღეს დაიწყო. საკასაციო სასამართლოს აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ გასა ჩივრების 21- დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლის 15 დეკემბერს და დასრულდა 2017 წლის 4 იანვარს, ხოლო საქმეში წარდგენილი, საკასაციო საჩივრზე დართული საფოსტო

¹⁹ სუსგ 23 იანვარი, 2017, საქმე ქადაგის 65-61-2017.

კონვერტით დასტურდება, რომ ის საფოსტო განყოფილებას ჩაბარდა 2017 წლის 9 იანვარს, ამასთან, საკასაციო საჩივრის შედგენის თარიღად მითითებულია 2017 წლის 6 იანვარი, უტყუარად დგინდება საპროცესო კოდექსით დადგენილი საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

2.8. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიღების შემ-დეგგანუხილველად დატოვა გასაჩივრების ვადის გასვლის საფუძვლით.²⁰

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვე-ბობის შესამონმებლად, თუმცა საქმის მასალების შესწავლის დროს საკასაციო სასა-მართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შეტანი-სას დარღვეულ იქნა სსსკ-ის 397-ე მუხლით დადგენილი 21-დღიანი ვადა, რის გამოც საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების ასლი კასატორმა ჩაიბარა 2016 წლის 10 მაისს, ხოლო საკასაციო საჩივარი შეიტანა 2016 წლის 1 ივნისს, ე.ი. გასაჩივრების 21-დღიანი საპროცესო ვადის დარ-ღვევით, ვინაიდან, სსსკ-ის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, საკასაციო საჩივ-რის შეტანისათვის დადგენილი 21-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2016 წლის 11 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 31 მაისს.

საკასაციო სასამართლომ განჩინება შემდეგ სამართლებრივ ნორმებს დააფუძნა. სსსკ-ის 399-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარ-მოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქ-მეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამარ-თლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქ-მეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კა-ნონმდებლობით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლებისათვის დად-გენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღნიშნული წესები საკასაციო პალატისათ-ვის განსაზღვრულ სპეციალურ ნორმებს არ ენინააღმდეგება.

სსსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

დასახელებული ნორმის მიხედვით, სარჩელი შეიძლება განუხილველად დარჩეს

²⁰ სუსგ 22 ივნისი, 2016, №ას-517-494-2016.

იმის შემდეგაც, რაც მიიღება წარმოებაში. აღნიშნული დასაშვებია, თუ სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი ცნობილი გახდება სარჩელის ან სხვა სახის საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ. კანონის აღნიშნული დანაწესი ვრცელდება საკასაციო საჩივრის მიმართაც. ამ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის №ას-1244-1184-2014 განჩინება). სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 397-ე, 59-ე, 63-ე მუხლებიც.

2.9. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, განუხილველად დატოვა და, ამასთან, განმარტა სსსკ-ის 259¹ მუხლის მეორე ნაწილი.

საქმის მასალებით დასტურდება,²¹ რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 აპრილის სასამართლო სხდომაზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა როგორც კასატორი, ასევე – მისი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში კასატორი ან მისი წარმომადგენელი ვალდებული იყვნენ, გასაჩივრებული განჩინების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის მიემართათ არაუგვიანეს 2016 წლის 18 მაისისა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ არც კასატორს და არც მის წარმომადგენელს განჩინების ასლის მისაღებად სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილი ვადის დაცვით არ მიუმართავთ. კასატორმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 აპრილის განჩინების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2016 წლის 31 მაისს, როდესაც უკვე გასული იყო განჩინების გამოცხადებიდან 20-30-დღიანი ინტერვალი. ეს კი, იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ მის მიმართ განჩინების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო არა განჩინების ჩაბარებიდან, არამედ – ამ განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 259¹ მუხლით დადგენილი წესი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესთან ერთობლივად ადგენს გასაჩივრების უფლების წარმოშობისა და ამ ვადის დენის დასაწყისს. სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. გასაჩივრების ვადის დენის ათვლის წესთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება (სუს 30.12.2014 წ.-ის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014).

ამდენად, სსსკ-ის 259¹ მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა, მოცემულ შემთხვევაში, დაიწყო 2016 წლის 19 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 8 ივნისს, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი წარდგენილ უნდა ყოფილიყო 2016 წლის 8 ივნისის ჩათვლით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საკასაციო საჩივარი კასატორმა შეიტანა 2016 წლის 15 ივნისს – ანუ კანონით

²¹ სუსგ 24 ივნისი, 2016, №ას-568-543-2016.

დადგენილი ვადის დარღვევით.

259¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, პატიმართათვის, რომელიცაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 259¹ მუხლის მე-2 ნაწილი თავისი სტრუქტურით ბლანკეტური შინაარსის ნორმაა, რომელიც დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის 46-ე მუხლზე.

სსსკ-ის 46-ე მუხლით კი, დადგენილია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საფუძვლები. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის მიხედვითაც, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებს კი, თავის მხრივ, ადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელდობრ, კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეღავათები. ამ კანონის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და შრომის ანაზღაურებაზე სხვა მოთხოვნებზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა – ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული მოთხოვნებიდან მოსარჩელე ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე არ წარმოადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე და, მაშასადამე, სსსკ-ის 259¹ მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში შემავალ იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაბარება უნდა უზრუნველყო სასამართლოს ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, საკასაციო პალატამ აღნიშნა, ვინაიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, როგორც მეორეული მოთხოვნა, წარმოადგენს უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების თანმდევ სამართლებრივ შედეგს, მოსარჩელე არც მოთხოვნის ამ ნაწილში წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ჩაბარების ზემოთ მითითებული წესი გავრცელდებოდა.

საკასაციო პალატის მსჯელობიდან კი გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ სწორედ კასატორის ან მისი წარმომადგენლის საპროცესო სამართლებრივი ვალდებულება იყო, გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30-დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაებარებინათ საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2016 წლის 18 აპრილის განჩინება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 259¹ მუხლით დადგენილია შესასრულებლად სავალდებულო წესი და, ამდენად, გასაჩივრების მსურველ მხარეს აქვს არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიძაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, აისახება მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე.

2.10. მხარემ დადგენილი საპროცესო ვადის დაცვით შესაგებელი არ წარადგინა. სასამართლომ ვადის გაშვება საპატიოდ არ მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დატოვა.²² საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს სარჩელი თანდართული მასალებით გაეგ ზავნა და პირადად ჩაპბარდა 2015 წლის 22 იანვარს, ხოლო წერილობითი პასუხის (შესაგებლის) სასამართლოში წარმოდგენის 10-დღიანი ვადა ამოენტურა ამავე წლის 2 თებერვალს. მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია და არც წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ არ უცნობებია სასამართლოს-თვის.

საკასაციო პალატამ დადასტურებულად არ მიიჩნია მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზის თაობაზე საჩივარსა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები. კასატორის (საჩივრის ავტორის) მითითება, რომ სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენისათვის განსაზღვრულ ვა-დაში, შვილის ავადმყოფობის გამო იმყოფებოდა სტაციონალურ სამკურნალო დაწე-სებულებაში, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის. საქმეში წარდგენილი სამედიცინო ცნობით, მართალია, დასტურდება, რომ მოპასუხის შვილმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, სადაც დაესვა მწვა-ვე ბრონქიტის დიაგნოზი, თუმცა მკურნალობის მიზნით სტაციონარში მისი მოთავ-სების ფაქტი (რაზეც მოპასუხე აპელირებს) არ დგინდება – ცნობაში მითითებულია, რომ პაციენტი მკურნალობდა ამბულატორიულად.

2.11. კერძო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძვლით, რომ მხარემ დაარღვია საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადა.

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 416-ე მუხლის (კერძო საჩივრის შეტანის ვადა 12 დღე). ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრება კერძო სა-ჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად) საფუძველზე კერძო საჩივარი განუხილველად და-ტოვა. საქმის ფაბულის მიხედვით კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დენა

²² სუსგ 7 მარტი, 2018 № ას-1165-1085-2017, 9 თებერვალი, 2017, №ას-697-668-2016.

დაიწყო 2015 წლის 4 აპრილს და ამოიწურა 2015 წლის 15 აპრილს. წარდგენილი კერძო საჩივრით კი დგინდება, რომ ის სასამართლოს კანცელარიას ჩაპბარდა 2016 წლის 3 თებერვალს, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.²³

სხვა საქმეში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2016 წლის 30 ივლისს და ამოიწურა 2016 წლის 10 აგვისტოს. საქმეში წარმოდგენილი კერძო საჩივრითა და მასზე დართული კონვერტით კი დასტურდება, რომ კერძო საჩივარი შედგენილია 2016 წლის 8 სექტემბერს, ამასთან, კონვერტზეც მითითებულია 2016 წლის 8 სექტემბერი, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების აბსოლუტური საფუძველია.²⁴

კონკრეტულ საქმეზე²⁵ კერძო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ საქმის მასალებით გასაჩივრებული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს ოთხჯერ გაეგზავნა საქმეში არსებულ მისამართებზე, თუმცა ვერ ჩაპბარდა იმ მიზეზით, რომ ადრესატი მის მიერ მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა. ამის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ განჩინებით დაადგინა მოპასუხისათვის გასაჩივრებული განჩინების შინაარსის საჯარო შეტყობინების გზით ცნობა და აღნიშნული განჩინება განთავსდა საერთო სასამართლოების ვებგვერდზე საჯარო შეტყობინების განხორციელების მიზნით. **ვინაიდან მხარისათვის სასამართლო გზავნილის სხვაგვარად ჩაბარება ვერ მოხერხდა, სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეტანა განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კი სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სსსკ-ის მე-60-ე და 61-ე მუხლების მიხედვით, კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დენა დაიწყო საჯარო შეტყობინების სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. კერძო საჩივარი კი სააპელაციო სასამართლოში შევიდა კერძო საჩივრით კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

²³ სუსგ-ები: 15 თებერვალი, 2016, №ას-116-112-2016, 27 თებერვალი, 2017, №ას-289-273-2017, 3 ივლისი, 2017, №ას-832-778-2017, 13 ივლისი, 2017, №ას-881-821-2017, 14 ივლისი, 2017, №ას-926-866-2017

²⁴ სუსგ 30 სექტემბერი, 2016 №ას-889-856-2016, 25 ივლისი, 2019, №ას-1086-2019, 25 ივნისი, 2020, №ას-386-2020, 23 ივნისი, 2020, 27 ივლისი, 2020, №ას-389-2020, 27 ივლისი, 2020, №ას-672-2020

²⁵ სუსგ 7 სექტემბერი, 2020, №ას-735-2020

2.12. საკასაციო სასამართლომ მხარის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით ვადის დარღვევის გამო განუხილველად დატოვა.

ერთ-ერთ საქმეზე²⁶ საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორების მოსაზრება, რომ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა სასამართლოს წარედგინა კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც საპელაციო პალატას სათანადოდ არ შეუფასებია. საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების მიღება მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელი იყო როგორც უშუალოდ მხარის მოთხოვნით, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს ინიციატივით. საკასაციო სასამართლომ მხარის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით განუხილველად დატოვა.

საკასაციო სასამართლოს არაერთ განჩინებაში განმარტებულია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას კანონი ანიჭებს ასევე სასამართლოს. ამასთან, ზემოხსენებული საკითხის დასმა სასამართლომაც, დაინტერესებული მხარის მსგავსად, 7-დღის ვადაში უნდა განახორციელოს. კანონი აქ რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. რაც შეეხება საკითხის დასმის ფორმას, თუ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატორი სასამართლოა, მან ეს საკითხი შეიძლება დასვას შხოლოდ მის მიერ მიღებული განჩინებით, ვინაიდან სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიღება განჩინების ფორმით (სსკ-ის 284.1 მუხლი). მაგალითად, თუ საკითხი ეხება სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ ზემოხსენებული საფუძვლებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რომლის თაობაზეც უნდა ეცნობოთ მხარეებს კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 261.3 მუხლი), ხოლო, თუ საკითხი ეხება სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რის თაობაზეც ასევე უნდა ეცნობოთ მხარეებს (სსკ-ის 261.3 მუხლი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში არ გამოიტანა ერთ-ერთი ზემოხსენებული განჩინება, იგი არაა უფლებამოსილი, ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმები იმპერატიული ხასიათისაა. სამოქალაქო სამართალნარმოება ეფუძნება შეჯიბრებითობის, დისპოზიციურობისა და კანონის ნინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპებს (სსკ-ის 3-6 მუხლები), თუმცა აღნიშნული იმასაც ავალდებულებს მხარეებს, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესატყვისად მოხდეს მხარეთა მიერ მოთხოვნებისა და უფ-

²⁶ სუსგ 21 მაისი, 2020, №ას-1670-2019.

ლებების გაცხადება თუ დაზუსტება. სსსკ-ის 261.2 მუხლით დადგენილი 7-დღიანი ვადით კანონმდებელმა შემოსაზღვრა როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს შესაძლებლობა, ამავე ნორმით დადგენილი წინაპირობების შემთხვევაში, სასამართლომ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, რადგან დაადგინა, რომ ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7-დღიანი ვადის დენის დაწყებას კი კანონი უკავშირებს გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (სუსგ 25.06.2012, №ას-225-217-2012), რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის (სასამართლოსათვის) ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი (09.06.2016, №ას-920-870-2015)

3. სააპელაციო საჩივრის განუხილვებად დატოვების თაობაზე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების პრაქტიკა

3.1. აპელანტის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონაბეჭის მიზნით საქმე ხელახლა განსახილვებად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქმის ფაბულის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ აპელანტის კერძო საჩივარი დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა. საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მან (წარმომადგენელმა) 2015 წლის 2 დეკემბერს სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების თხოვნით მიმართა, რადგანაც არ ესწრებოდა მის გამოცხადებას. სარეზოლუციო ნაწილი ადრესატს 2015 წლის 10 დეკემბერს ჩაპბარდა, რაც მითითებულია საქმეში არსებულ ხელწერილშიც. ამასთანვე, მხარემ კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით სასამართლოს მიმართა 2015 წლის 22 დეკემბერს და იგი ჩაპბარდა ამავე წლის 29 დეკემბერს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარედგინა დადგენილი ვადის დაცვით, 2016 წლის 11 იანვარს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის (2014 წლის 30 დეკემბრის №ას-1161-1106-2014 განჩინება) განმარტების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-20 დღე იყო 2015 წლის 17 დეკემბერი, 30-ე – 27 დეკემბერი. მხარემ ამ ვადის დაცვით მიმართა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, ხოლო გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემიდან მას არ დაურღვევია სსსკ-ის 369-ე მუხლით იმპერატიულად დადგენილი მოთხოვნა (სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა). შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონაბეჭის მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.²⁷

3.2. მხარემ სასამართლოში დროულად გამოცხადების სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, თუმცა მას დადგენილი ვადის მიხედვით გადაწყვეტილება არ ჩაპბარებია, რაც ქმნის იმ პრეზუმუციის დაშვების საფუძველს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრულ ვადაში.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა.²⁸ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონაბეჭის სტადიოდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ სრულად

²⁷ სუსგ 22 აპრილი, 2016, №ას-210-200-2016, 30 მარტი, 2020, №ას-1594-2019

²⁸ სუსგ 23 ივნისი, 2017, № ას-413-386-2017.

გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევის თაობაზე სააპელაციო პალატის დასკვნა არ ემყარება საქმის მასალების სრულყოფილ კვლევას. საქმეში წარდგენილი განცხადებით ირკვევა, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა, გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით საქალაქო სასამართლოს მიმართა იმავე წლის 30 ნოემბერს, ანუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა (30-ე დღე იყო 1 დეკემბერი), ხოლო გადაწყვეტილება მხარეს ჩაპერდა 2016 წლის 16 დეკემბერს. სააპელაციო საჩივარი კი, წარდგენილია 2016 წლის 29 დეკემბერს.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარემ სასამართლოში დროულად გამოცხადების სსსკ-ის 2591-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, თუმცა მას დადგენილი ვადის დაცვით გადაწყვეტილება არ ჩაპერდა, რაც ქმნის იმ პრეზუმუტციის დაშვების საფუძველს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრულ ვადის თანახმად. ამ პრეზუმუტციის დაშვებისას საკასაციო პალატამ გაითვალისწინა საქმეში განთავსებული მოპასუხის წარმომადგენლის ხელნერილიც, რომლის თანახმადაც მას დასაბუთებული გადაწყვეტილება 2016 წლის 16 დეკემბერს აქვს ჩაბარებული. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკაც /სუსგ №ას-733-695-2013, 10 დეკემბერი, 2013 წელი/.

3.3. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის კერძო საჩივარი და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუპრუნა იმავე სასამართლოს, ვინაიდან სასამართლო მოხელის მიერ გაცემული წერილით დადასტურდა, რომ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი ვადის დაცვით არ მომზადდა.

საქმის ფაზულის მიხედვით,²⁹ კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, იგი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 23-ე დღეს, 2016 წლის 18 დეკემბერს, გამოცხადდა სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით, თუმცა მოსამართლის თანაშემნის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მზად არ იყო. მოცემული ფაქტის დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საჩივარზე დართულ მოსამართლის თანაშემნის 2016 წლის 4 თებერვლის №2/20862-14 წერილზე, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა 2015 წლის 24 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლომ დროულად მოამზადა. ამ ვარაუდის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი კი ეკისრება იმ პირს, ვინც ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ყოველგვარი

²⁹ სუსგ 10 მაისი, 2016, №ას-239-227-2016.

ეჭვი წყდება მხარის სასარგებლოდ.

სსსკ-ის 259¹-ე მუხლი ითვალისწინებს მხარის ვალდებულებას, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა, გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩასაბარებლად. ამავე დროს, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, ზემოაღნიშნული ვადის დაცვით მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება. სასამართლოს ევალება მხარის მიმართვის შემთხვევაში, კანონით დადგენილი ვადის მიხედვით, დაუყოვნებლივ ჩაბაროს მას გადაწყვეტილება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება.

საკასაციო სასამართლომ მითითებით, მართალია, საქმის მასალებში არ მოიპოვება კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მოპასუხის წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადების დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა კერძო საჩივარზე დართული სასამართლო მოხელის მიერ გაცემული წერილიდან ირკვევა, რომ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 29-ე დღეს (2016 წლის 24 დეკემბერს), რაც იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარე კანონით დადგენილი ვადის დაცვით სასამართლოში რომც გამოცხადებულიყო, იგი დასაბუთებულ გადაწყვეტილებას 2016 წლის 24 დეკემბრამდე ვერ ჩაიბარებდა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ 2015 წლის 25 ნოემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლომ ორივე მხარეს ფოსტის მეშვეობით გაუგზვნა 2015 წლის 29 დეკემბერს.

სასამართლომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილისა და 102-ე მუხლის თანახმად, იმ პირობებში, როდესაც კერძო საჩივრის ავტორმა წარდგენილი მტკიცებულებით გააქარწყლა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების შესახებ, არსებობს სსსკ-ის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიიდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

სხვა საქმეზე კერძო საჩივარი ასევე დაკმაყოფილდა,³⁰ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ მიჩნია, რომ მხარემ სასამართლოში დროულად გამოცხადების სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, თუმცა მას დადგენილი ვადის თანახმად გადაწყვეტილება არ ჩაპარებია, რაც ქმნის იმ პრეზუმაციის დაშვების საფუძველს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით. ამ პრეზუმაციის დაშვებისას საკასაციო პალატამ გაითვალისწინა საქმეში განთავსე-

³⁰ სუსგ 5 ივლისი, 2017, № ას-598-557-2017.

ბული მოსარჩელის წარმომადგენლის ხელწერილიც, რომლის თანახმადაც, მას დასაბუთებული გადაწყვეტილება 2017 წლის 9 მარტს აქვს ჩაბარებული. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვან პრაქტიკაც (სუსგ ქას-413-386-2017, 23 ივნისი, 2017 წელი; ქას-733-695-2013, 10 დეკემბერი, 2013 წელი).

ანალოგიურ საქმეში კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.³¹

განსახილველი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეების პერიოდში მზად არ იყო. ამას მოწმობს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის გადაცემის შესახებ 2018 წლის 4 ოქტომბრის განცხადება. საქალაქო სასამართლომ მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება და სასამართლო სხდომის ოქმები გაუგზავნა მხოლოდ 2018 წლის 9 ოქტომბერს, რაც ადრესატმა იმავე დღეს მიიღო.

3.4. საკასაციო პალატამ უდავოდ მიიჩნია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების 20-30-დღიანი ვადა დარღვეულია სასამართლოს ბრალით. პალატამ მიიჩნია, რომ საპროცესო წესები უნდა განიმარტოს მხარის სასარგებლოდ, მით უფრო, როდესაც მისმა წარმომადგენელმა დროულად არ მიიღო გარკვეული ზომები. ამასთანავე, საპროცესო წესების საპირისპირო განმარტება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სამართალნარმოებაზე უარის დაუსაბუთებლად გაცხადება-სა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას განაპირობებს.

კონკრეტულ საქმეზე³² საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ სისტემაში არსებული გადატვირთულობის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გათვალისწინებით გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორთა არგუმენტი, რომ საპროცესო ვადა მხარის ბრალით არ დარღვეულა, რაც, ამავდროულად, დასაბუთებულია საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით (ცნობის თანახმად, მოსამართლის თანამეტეს უკავშირდებოდა აპელანტთა წარმომადგენელი, თუმცა გადაწყვეტილების ჩაბარება მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის ჩათვლით (12 აპრილი) ვერ მოხერხდა, ხოლო შემდგომი დღეები (14-17 აპრილი) იყო უქმებელი).

³¹ სუსგ 15 მარტი, 2019, ქას-139-2019, 15 მარტი, 2019, ქას-156-2019.

³² სუსგ 28 ივლისი, 2017, ქას-863-806-2017.

- 3.5. საკასაციო პალატამ უდავოდ მიიჩნია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების 20-30-დღიანი ვადა სასამართლოს ბრალითაა დარღვეული, ხოლო შეგებებული სარჩელის ავტორთა ნარმომადგენელი ცდილობდა საპროცესო ვადის დაცვით მის ჩაბარებას, რაც გამორიცხავს საპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დენის ავტომატურად დაწყებას (უდავოა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღე 2017 წლის 2 აპრილი იყო, 30-ე დღე – 12 აპრილი, ამ დროისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილება არ იყო მომზადებული, 14-17 აპრილი იყო უქმე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, აპელანტებმა გადაწყვეტილება ჩაიბარეს 2017 წლის 18 აპრილს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 1 მაისს, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14-დღიანი ვადის დაცვით).

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ ნარმომადგენლის მეშვეობით საკუთარი საპროცესო უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მხარეს აქვს წარმომადგენლობის კვალიფიციურად განხორციელების მოლოდინი, ეს უკანასკნელი კი, მოიცავს პროცესუალური გარემოებების თაობაზე სასამართლოს წინასწარი ინფორმირების იმგვარ ვალდებულებას, როგორიცაა, დასაბუთებული გადაწყვეტილების დროულად ჩაუბარებლობადა სხვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საპროცესო ვადების გაჭიანურებადა და დამატებითი ხარჯები. მოცემულ შემთხვევაში, შეგებებულ მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს ამგვარ მითითებას, ამასთანავე, გაურკვეველია, რატომ არ წარადგინა აპელანტთა წარმომადგენელმა იმგვარი მტკიცებულება, რაც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააპელაციო სასამართლოსაც მისცემდა შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტა სადავო საკითხი (მაგ: სასამართლო მოხელის ცნობა), თუმცა იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების დროულად მომზადების შეუძლებლობა, პალატამ მიიჩნია, რომ საპროცესო წესები უნდა განიმარტოს მხარის სასარგებლოდ, მით უფრო, როდესაც მისმა წარმომადგენელმა დროულად არ მიიღო გარკვეული ზომები. ამასთანავე, საპროცესო წესების საპირისპირო განმარტება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სამართლნარმოებაზე უარის დაუსაბუთებლად გაცხადებასა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას განაპირობებს.

საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა, რომ „259¹ მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს მხარის ვალდებულებას, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას ამ ვადაში, ეს გარემოება მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება და ვადის ათვლა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაიწყება“ (სუსგ: № ას- 1424-1344-2017, 16.01.2018წ; სუსგ-ებს: №ას-1371-1291-2017, 12.01.2017; №ას-1061-981-2017, 07.12.2017; №ას-1243-1163-2017, 06.12.2017; № ას-978-910-2017, 01.12.2017; №ას-

3.6. სასამართლოს უმოქმედობა გამორიცხავს საქმეში წარმოდგენილი სხდო-
მის მდივნის მიერ შედგენილი აქტის გაზიარების შესაძლებლობას, რომ და-
საბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა კანონით დადგენილი ვადის დაც-
ვით, რადგანაც ალოგიკურია სასამართლოში გამოცხადებულ მხარეს წე-
რილობითი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაეცეს გადაწყვეტილება მისი
დროულად მომზადების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ დაურღვევია სააპელაციო სა-
ჩივრის წარდგენის ვადა. შესაბამისად, კერძო საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა სა-
აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო
საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად და-
უბრუნდა იმავე სასამართლოს.³³

კერძო საჩივრის ავტორები სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას იმ
საფუძვლით მოითხოვენ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადა
თავიანთი ბრალით არ დარღვეულა, რაიონულმა სასამართლომ დადგენილი ვადის
დაცვით ვერ მოამზადა დასაბუთებული გადაწყვეტილება, რასაც მოწმობს მხარის
მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების წერილობითი მოთხოვნის წარდგენისა და მისი
ჩაბარების თარიღები. რაც შეეხება სასამართლოს სხდომის მდივნის აქტს, მხარეს
სურს მისი უარყოფა, რადგანაც აქტში ასახული ინფორმაცია არ ემყარება საქმის
მასალებს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორთა არგუმენტი, რომ საპ-
როცესო ვადა მხარის ბრალით არ დარღვეულა, ამ პრეზუმაციის დაშვების საფუძ-
ვლად პალატა სწორედ მხარეთა მიერ მოშველიებულ მტკიცებულებათა შეფასებას
მიიჩნევს (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლოს აღნიშვნით, მართალია, დასტურდება, რომ მხარემ დაარ-
ღვაი გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნის თაობაზე ზემოხსენებული ნორმით გან-
საზღვრული 30-დღიანი ვადა (მიმართა 28 ივნისს), თუმცა, ვინაიდან 30-დღიანი ვადის
დარღვევით, 2018 წლის 28 ივნისის განცხადების პასუხად მოპასუხე მხარეს მაინც არ
ჩაჰდარდა დასაბუთებული გადაწყვეტილება, არამედ გადაეცა დაგვიანებით – 2018 წლის
9 ივლისს, გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში მოუმზადებლობის თაობაზე კერ-
ძო საჩივრის ავტორთა პრეტენზიის გაზიარების საფუძველს ქმნის. უდავოა ისიც,
რომ მოპასუხებს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაცული აქვთ მი-
სი გასაჩივრების 14-დღიანი ვადა (საჩივარი რეგისტრირებულია სასამართლოში 2018
წლის 12 ივლისს). სასამართლოს უმოქმედობა გამორიცხავს საქმეში წარმოდგენილი
სხდომის მდივნის მიერ შედგენილი აქტის გაზიარების შესაძლებლობას, რომ დასაბუ-
თებული გადაწყვეტილება მომზადდა კანონით დადგენილ ვადაში, რადგანაც ალოგი-
კურია სასამართლოში გამოცხადებულ მხარეს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში
არ გადაეცეს გადაწყვეტილება მისი დროულად მომზადების შემთხვევაში. საგულის-

³³ სუსგ 22 თებერვალი, 2019, №ას-1845-2018

ხმოა თავად ის გარემოებაც, რომ აქტი დათარიღებულია გადაწყვეტილების მხარი-სათვის ჩაბარების უკანასკნელი დღით-2018 წლის 27 ივნისით, ხოლო მოპასუხე მხარე სასამართლოში გამოცხადდა მომდევნო დღეს-28 ივნის.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუშვებელია, მხარეს წაერთვას მართლმსაჯუ-ლებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმის მასალების ანალიზი არ ქმნის უალტერნატივო დასკვნის საფუძველს იმის თაობაზე, რომ თავად მხარემ დაარღვია ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

3.7. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არას-წორად განმარტა სსსკ-ის 259 (1) მუხლი და შეუზღუდა მხარეს სასამარ-თლოს ხელმისაწვდომობის უფლება, არ გადასცა რა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ასლი, რომელიც მას, სასამართლოსადმი მიმართვის მი-უხედავად, არ ჩაჰებარებია.

საქმის ფაბულის მიხედვით,³⁴ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან სსსკ-ის 259¹ მუხლით განსაზღვრული ვადის დაცვით სასამართლოს მიმართა მოპასუხის წარმო-მადგენელმა და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება. განცხადე-ბას არ ერთვის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთანავე, ამ-გვარი მტკიცებულება ვერც საქმის მასალებში ვერ მოიძია საკასაციო სასამართლომ, თუმცა სასამართლოს მხრიდან რაიმე რეაგირება (რწმუნებულების წარმოდგენის მოთხოვნა, შეტყობინების უშუალოდ მხარისათვის გაგზავნა და სხვა) საქმის მასა-ლებით დადასტურებული არ არის. სადაც არ არის მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივრის სსსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში წარდგენის ფაქტი. უფ-რო მეტიც, საკასაციო სასამართლომ აპელანტს დაუდგინა ხარვეზი. სააპელაციო საჩივრში მხარემ მიუთითა, რომ დასაბუთებულ პრეტენზიებს წარადგენს მას შემ-დეგ, რაც ჩაპერდება დასაბუთებული გადაწყვეტილება. ხარვეზის გამოსწორები-სათვის განსაზღვრულ ვადაში აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, წა-რადგინა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის დამადასტურებელი დო-კუმენტი, აქვე განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს კვლავ არ ჰქონ-და მისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარებული, რის გამოც მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოესწორებინა ხარვეზი განჩინებით დადგენილ სხვა ნაწი-ლებში. განმცხადებელმა იშუამდგომლა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწ-ყვეტილების ჩაბარებისა და ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადის გაგრძელე-ბის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მხარის შუამდგომლობები არ დაკმაყოფილ-და და, სსსკ-ის 259-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ არა თავად, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანცელარია გადასცემდა მხარეს გა-დაწყვეტილების ასლს. ამ უკანასკნელს დაუსაბუთებელი სააპელაციო საჩივრის წარ-დგენისას არ მოუთხოვია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარება, შესაბამისად, მისი შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებე-

³⁴ სუსგ 31 მარტი, 2017, №ას-54-50-2017.

ლი. რაც შეეხებოდა წარმომადგენლის წერილობით მიმართვას, საქმეში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის გამო, იგი სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ არ იქნა მიჩნეული და, საბოლოოდ, პალატამ, ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების შეფასებები და დასკვნები და მიიჩნია, რომ აპელანტის მიმართ დარღვეულია „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, მართალია, იძლევა სააპელაციო სამართლწარმოების განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, **თუმცა, ნორმა არ შეიძლება მხარის საპროცესო უფლებების საზიანდ განიმარტოს.** ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს სსსკ-ის 259¹ მუხლის მოთხოვნათა დაცვით მიმართა და ითხოვა გადაწყვეტილების ჩაბარება, თუმცა, ფაქტია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაუბარებია. სააპელაციო პალატის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ, მინდობილობის საქმეში არარსებობის გამო, წარმომადგენლის მიმართვა სამართლებრივი ძალის არ არის, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ **საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი და სხვა, რაც დაადასტურებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს რეაგირებას არაუფლებამოსილი პირის განცხადებაზე, თავის მხრივ, სსსკ-ის 259-ე მუხლი ადგენს, რომ მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არაუგიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან. გადაწყვეტილების ასლებს ხელს აწერს სასამართლოს კანცელარიის მდივანი და უსვამს სასამართლოს ბეჭედს, თუმცა, ეს ნორმა არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ გადაწყვეტილების ასლის გადაცემა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს ვალდებულებაა და იმ ვითარებაში, როდესაც საქმე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია, მას ეკრძალება მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისთვის ჩაბარების თაობაზე. ნორმის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მხარის გარანტირებულ შესაძლებლობას, ისარგებლოს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებით. სააპელაციო პალატამ, შუამდგომლობის ზემოხსენებული მოტივებით დაუკმაყოფილებლობის გამო, პრაქტიკულად, შეუზღუდა აპელანტს როგორც სსსკ-ის 83-ე, ისე – მე-2 მუხლით გარანტირებული უფლებები.**

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

- 3.8. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ მი-იჩინია დარღვეულად, იმ საფუძვლით, რომ აპელანტის ხელწერილი არა და-საბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელი, არამედ გა-დაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მხარისათვის გადაცემის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებაა.**

საკასაციო სასამართლომ აპელანტის კერძო საჩივარი დააკმაყოფილა.

გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე ხელახლა განსა-ხილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.³⁵

გასაჩივრებული განჩინების თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მი-ლებაზე სააპელაციო სასამართლომ იმ მოტივით განაცხადა უარი, რომ მხარის მიერ დარღვეული იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, კერძოდ, 2016 წლის 12 ოქ-ტომბრის გადაწყვეტილება მოპასუხემ ჩაიბარა 2016 წლის 21 ოქტომბერს, შესაბამი-სად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა 2016 წლის 4 ნოემბერს, ხოლო მხარემ საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 18 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ 2016 წლის 21 ოქტომბრის ხელწერილი წარმოადგენს არა დასაბუთებული გადაწყვეტილე-ბის ჩაბარების დამადასტურებელ მტკიცებულებას, არამედ გადაწყვეტილების სა-რეზოლუციო ნაწილის მხარისათვის გადაცემის ფაქტის დადასტურებას, რამდენა-დაც, სსსკ-ის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუ-ციონ ნაწილის გამოცხადებიდან ვადით 14 დღეში სასამართლო ამზადებს დასაბუთე-ბულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. საკასაციო სასამართლომ გა-ითვალისწინა, საქმეთა დიდი ნაკადის გამო, საქალაქო სასამართლოს დატვირთუ-ლობის თაობაზე საყოველთაოდ ცნობილი გარემოება, რაც ნაკლებად სავარაუდოს ხდის იმას, რომ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-9 დღეს სასამართლოს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, მოემზადებინა დასაბუთებული გადაწყვეტი-ლება, მით უფრო მაშინ, როდესაც მხარე 2016 წლის 11 ნოემბერს კვლავ მიმართავს სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით და ამავე დღეს ხელწერილით ადასტურებს გადაწყვეტილების ჩაბარებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩინია, რომ სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახ-მად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2016 წლის 12 ნოემბერს და, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ამოიწურა 28 ნოემბერს, ორშაბათს (26 ნოემბერი ემთხვეოდა დასვენების დღეს), სააპელაციო საჩივარი კი, სასამართლოში რეგისტრირებულია 2016 წლის 18 ნოემბერს, რაც უდავოდ მეტყვე-ლებს იმაზე, რომ აპელანტს არ დაურღვევია სსსკ-ის 369-ე მუხლით იმპერატიულად დადგენილი მოთხოვნა (სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა).

³⁵ სუსგ 17 მარტი, 2017, №ას-126-118-2017.

- 3.9. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია წარმომადგენელთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე და საპროცესო წესის დაუცველობის (სსსკ-ის 99-ე მუხლი) მიუხედავად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა გასულად არ მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ აპელანტის კერძო საჩივარი დააკმაყოფილა.

გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.³⁶

კერძო საჩივრის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან სამ დღეში მოპასუხები ადვოკატს შეუწყვიტა მინდობილობა, რადგანაც აპირებდა გადაწყვეტილების გასაჩივრებას სხვა წარმომადგენლის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, წარმომადგენელმა ჩაიბარა რაიონული სასამართლოს გზავნილი და აღნიშნულის შესახებ მხარისათვის არ უცნობებია.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობები და, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებ პირს უფლებამოსილება ჰქონდა შეწყვეტილი, სსსკ-ის 93-ე მუხლი მხარეს უფლებას ანიჭებს, საქმე წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოოს სასამართლოში, ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელი წარმომადგენელს აღჭურავს წარმოდგენილი პირის უფლება-მოვალეობებით (სსსკ-ის 98-ე მუხლში მოცემული გამონაკლისების გათვალისწინებით), მათ შორის, სასამართლო შეტყობინების ჩაბარების უფლებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარესა და მის წარმომადგენელს შორის ურთიერთობის მატერიალურსამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 709-ე-723-ე მუხლებია, რომლის ფარგლებშიც, დასაშვებია დავალების ხელშეკრულების როგორც ზეპირი ფორმით დადება, ისე – მისი შეწყვეტა, თუმცა საპროცესო სამართლის მიზნებისათვის დადგენილია გამონაკლისები. სსსკ-ის 96-ე მუხლი ადგენს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის-მინდობილობის წერილობით გაფორმებას და განსაზღვრავს მისი შეწყვეტის წესსაც, კერძოდ, ამავე კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელს უფლება აქვს, საქმისწარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენლს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმისწარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

საკასაციო პალატამ ფაქტების ერთობლივად შეფასებით (აპელანტის მიერ გააწყვეტილების ჩაბარების თხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა, ყოფილი

³⁶ სუსგ 24 მარტი, 2017, №ას-157-147-2017.

ნარმომადგენლის წერილობითი განმარტება) გაიზიარა ნარმომადგენელთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია და, მიუხედავად საპროცესო წესის დაუცველობისა, მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, იგი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება, რადგანაც, სსსკ-ის 259¹ მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს აქვს არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ წესისაგან გამონაკლისი დაშვებულია და კანონი სასამართლოს უდგენს ვალდებულებას, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაიბაროს გადაწყვეტილება იმ მხარეს, რომელიც ამავე კოდექსის 46-ე მუხლის სუბიექტები ან პატიმრები არიან და არ ჰყავთ ნარმომადგენელი (იხ. სსსკ-ის 259¹.2 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხე არცერთ ზემოხსენებულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა, შესაბამისად, საერთოდ გაურკვეველი რჩება საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტილების გაგზავნის თაობაზე რაიონული სასამართლოს მოქმედება რა საპროცესო წესს ემყარებოდა. ამ დარღვევის შედეგად კი, საკასაციო პალატამ, სავარაუდოდ, მიიჩნია, რომ აპელანტი, თუკი თავად ჩაიბარებდა გადაწყვეტილებას, მას სსსკ-ის 99-ე მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობის ფაქტის შესახებ შესაძლებლობა ექნებოდა, ეცნობებინა სასამართლოსათვის.

3.10. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება იყო არაპროპორციული საშუალება, რომელიც არ შეესაბამებოდა დასახულ მიზანს – სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

სხვა საქმეზე კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა,³⁷ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიოდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს;

საქმის ფაბულის მიხედვით, სააპელაციო პალატამ სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე არაერთხელ დაკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა და გაუგრძელა მას სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად დაწესებული საპროცესო ვადა, კერძოდ, 2016 წლის 18 აგვისტოს განჩინებით აპელანტს ხარვეზის შევსებისთვის დაწესებული ვადა გაუგრძელდა 7 (შვიდი) დღით, იმავე წლის 21 სექტემბრის განჩინებით – 20 (ოცი), ხოლო 21 ოქტომბრის განჩინებით – 7 (შვიდი) დღით. ამასთან, სააპელაციო საჩივრის ავტორი, ყოველ ჯერზე, როდესაც მოითხოვდა საპროცესო ვადის გაგრძელებას, განცხადებას დადგენილი ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ ურთავდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილობრივ გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს, კერძოდ, მან 2016 წლის 8 აგვისტოს გადაიხადა 500, 2016 წლის 11 ოქტომბერს – 800 და 2016 წლის 25 ნოემბერს – 300 ლარი, მთლიანად აპელანტმა სააპელაციო პალატის 2016 წლის 22 ივლისის განჩინებით დაკისრებული 1866 ლარიდან გადაიხადა 1600 ლარი.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან სააპელაციო პალატამ არაერთხელ

³⁷ სუსგ 6 აპრილი, 2017, № ას-66-62-2017.

გაუგრძელა აპელანტს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა, ამ უკანასკნელის თხოვნის შესაბამისად, იგი მიიჩნევდა, რომ არსებობდა დაკისრებული ბაჟის გადავა-დების კანონით განსაზღვრული საფუძველი. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, წარდგენილი შუამდგომლობებით აპელანტი მოითხოვდა არა მარტო სახელმწიფო ბაჟის შემცირებას, არამედ გამოხატავდა სურვილსაც, დაეფარა ხარჯები ეტაპობ-რივად, რასაც სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადების მიხედვით ახორციელებ-და კიდეც, აღნიშნული კი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადასტურებს კერ-ძო საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ მხარეს დავის მიმართ რეალური და მნიშ-ვნელოვანი ინტერესი აქვს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლო მხარეს აძლევდა ხარვეზის ეტაპობრივად შევსების შესაძლებლობას, ხოლო აპელანტი ყოველ ჯერზე იხდიდა დაკისრებული თანხის ნაწილს და, საბოლოოდ, 1866 ლარიდან მას გადასახ-დელი დარჩა მხოლოდ 266 ლარი (მან მთლიანად გადაიხადა დაკისრებული თანხის უმეტესი, დაახლოებით 85 პროცენტი), სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენე-ბული ზომა – ხარვეზის შეუცვებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილვე-ლად დატოვება იყო არაპროპორციული საშუალება, რომელიც არ შეესაბამებო-და დასახულ მიზანს – სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სა-აპელაციო პალატას შეეძლო, ემსჯელა უფრო ნაკლებ რადიკალური ზომის, სსსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვის დასრულებამდე აპელანტისათვის დარ-ჩენილი თანხის გადახდის გადავადების გამოყენებაზე.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის შემოწმების მიზ-ნით მიუთითა შემდეგი:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი, თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და ექვემ-დებარება შეზღუდვას. თავის მხრივ, შეზღუდვა ლეგიტიმურია, თუ იგი კანონით პირ-დაპირ გათვალისწინებულ საფუძველს ემყარება. ამგვარ საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თა-ნახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხ-დიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესა-ბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გა-ცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია სა-ხელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწი-ფო ბაჟის გადამხდელებად მიიჩნევიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ას-რულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს. თავის მხრივ, სსსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარ-ჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანო-ნით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ნინასწარ შეაქვს იმ მხარეს, რომელ-მაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. სასამართლოს ხელ-მისაწვდომობის საყოველთაო უფლებით სარგებლობის ზემოხსენებული საკანონმდებ-ლო შეზღუდვისაგან არსებობს გამონაკლისიც, თუმცა არც ეს არ არის აბსოლუტუ-

რი. მხარის მიმართ გარკვეული შეღავათის გამოყენების საკითხი, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული წინაპირობების გარდა (სსკ-ის 46-ე მუხლი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი), სასამართლოს შეხედულებით წყდება, როდესაც სასამართლო საკითხს ე.წ. „პროპორციულობის ტესტის“ გამოყენებით აფასებს. ამ დროს სასამართლო იკვლევს მხარის ქონებრივ მდგომარეობას (რომელიც პირდაპირ და უტყუარ მტკიცებულებებს ემყარება) და დარღვეული უფლების დაცვის ინტერესს. ამგვარი საგამონაკლისო წესი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, პირის უფლების შეზღუდვასა და სახელმწიფო ინტერესს შორის სამართლიან ბალანსს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (სსკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ, აგრეთვე, სსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც თანაბრად ვრცელდება როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირების მიმართ). კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს სადავოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ. ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას, სასამართლო მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით, უნდა გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები და განსახილველი შუამდგომლობის საფუძვლიანობისა და მეორე მხარის ინტერესების ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეიღახოს მეორე მხარის უფლებები.

ამასთან, ცხადია, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება, დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვიდან, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდების რესურსებისა და საჭიროების საფუძველზე (**იხ. Golder v. The United Kingdom, №4451/70, გვ. 32. 21 თებერვალი, 1975 წელი**). თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვამ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა შეამციროს იმდენად ან იმ ფარგლებით, რომ დაირღვეს ძირითადი უფლების არსი (**იხ. Ashingdane v. The United Kingdom, №8225/78, 28 მაისი, 1985 წელი**). სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისთვის ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენ-

ციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან შეუსაბამოდ (**იხ. Weissman and Others v. Romania, №63945/00, გვ. 34, 35, 24 მაისი, 2006 წელი**). ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის გადახდის უნარი და სასამართლო პროცესის ეტაპი, რომელზედაც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა. უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობის გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (**იხ. საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ, №38736/04, გვ. 41, 30 იანვარი, 2008**).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო, დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის – დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვის სტადიოდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

3.11. მასალები სასამართლო კანცელარიამ გადასცა არა საქმის განმხილველ, არამედ სხვა მოსამართლეს. შესაბამისად, საქმის განმხილველ შემადგენლობას შესაძლებლობა არ ჰქონდა, ემსჯელა აპელანტის მიმართვაზე.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა.³⁸ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2016 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ აპელანტს ხარვეზი დაუდგინა და დაავალა 10 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილ ფორმაში შევსებული დასაბუთებული სააპელაციო საჩივრისა და სახელმწიფო ბაჟის სახით დავის საგნის ღირებულების 4%-ის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს პირადად ჩაპარდა 2016 წლის 13 დეკემბერს.

სსსკ-ის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მიხედვით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა

³⁸ სუსგ 10 მარტი, 2017, №ას-214-203-2017.

უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

ამდენად, ხარვეზის შევსების ვადის ათვლა აპელანტისათვის დაიწყო 2016 წლის 14 დეკემბრიდან და ამოიწურა 23 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ხარვეზის შევსებისათვის დადგენილ ვადაში აპელანტს სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

საქმეს ერთვის №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდა-დებული აპელანტის სააპელაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოსათვის გადაგ-ზავნის შესახებ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 21 დეკემბრის მიმართვა, რომელსაც დაერთო სააპელაციო საჩივარიც. მითითებული დოკუმენტები სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2016 წლის 26 დე-კემბერს, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მოსამართლის თანაშემწის 2017 წლის 17 იანვრის მიმართვით ირკვევა, რომ აღნიშნული მასალები სასამართლო კანცე-ლარიამ გადასცა არა საქმის განმხილველ, არამედ სხვა მოსამართლეს. შესაბა-მისად, საქმის განმხილველ შემადგენლობას შესაძლებლობა არ ჰქონდა, ემსჯე-ლა აპელანტის მიმართვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო პალატას, მისგან დამოუკიდე-ბელი მიზეზით, არ შეუფასებია აპელანტის მიერ ხარვეზის გამოსწორების ვადაში წარდგენილი დოკუმენტები და სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილ-ველად.

3.12. ხარვეზის დადგენის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჩაჰ-ბარდა არაუფლებამოსილ პირს და ამ დღიდან ხარვეზის გამოსწორების ვა-დის ათვლა საჩივრის განუხილველად დატოვებას ვერ გამოიწვევს.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა.³⁹ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის განჩინებით მოსარჩელის სახელით მისი წარმომადგენლის მიერ შეტანილ საჩივარს ამავე სასამართლოს 2017 წლის 7 მარ-ტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 5 დღეში მო-სარჩელის მიერ საჩივრის ავტორის სახელზე გაცემული მინდობილობის წარდგენა საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მითითებით.

ხარვეზის განჩინება გაეგზავნა მეორე წარმომადგენლს და ჩაპბარდა მისი ოჯახის წევრს – დას, 2017 წლის 21 აპრილს, რაც სააპელაციო პალატამ ხარვეზის შესახებ განჩინების თავად მხარისათვის ჩაბარებად მიიჩნია, რადგან ხარვეზის გამოუსწო-რებლობის მოტივით საჩივარი დატოვა განუხილველად.

³⁹ სუსგ 14ივლისი, 2017, №ას-800-749-2017.

მხარეს მართებულად დაუდგინდა ხარვეზი, თუმცა საკასაციო სასამართლომ მი-იჩნია, რომ ხარვეზის განჩინება სააპელაციო პალატას უნდა გაეგზავნა არა სა-თანადო უფლებამოსილების არმქონე მეორე წარმომადგენლისათვის, არამედ თავად მოსარჩელისათვის. შესაბამისად, ხარვეზის დადგენის თაობაზე სააპელა-ციონ სასამართლოს განჩინება ჩაჰდარდა არაუფლებამოსილ პირს და ამ დღიდან ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა საჩივრის განუხილველად დატოვებას ვერ გამოიწვევს.

3.13. მხარემ გადაიხადა როგორც სახელმწიფო ბაჟი, ისე -წარადგინა სააპელა-ციონ საჩივარი, თუმცა თავად შესრულება იყო ხარვეზიანი (სააპელაციო საჩივარი შეიცავდა შინაარსობრივ ხარვეზს), შესაბამისად, ამ შემთხვევა-ში სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენება შეუსაბამოა და სასა-მართლო უფლებამოსილი იყო, ეხელმძღვანელა მათ შორის საპროცესო სამართლის იმ ზოგადი დანაწესებით, რომლებიც საპროცესო ვადების სა-კითხს აგვარებს (სსსკ-ის 64-ე მუხლი), ე.ი. თავისი ინიციატივით უნდა გა-ეგრძელებინა საპროცესო ვადა.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა.⁴⁰ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქმის ფაბულის მიხედვით, სააპელაციო საჩივარს დაუდგინა ხარვეზი და აპელან-ტებს დაევალათ სახელმწიფო ბაჟის – 168,56 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის (სსსკ-ის 368-ე მუხლი) იმდენი ასლის წარდგენა, რამდენი მხარეც მონაწილეობს და-ვაში. ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადა განისაზღვრა შვიდი დღით და აპე-ლანტებს განემარტათ საპროცესო მოქმედების განუხორციელებლობის შედეგები;

დადგენილი ვადის დაცვით აპელანტებმა მიმართეს სასამართლოს, წარადგინეს სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდის დოკუმენტი, ასევე, სააპელაციო საჩივარი, რომლის შეს-წავლითაც პალატამ დაასკვნა, რომ აპელანტებმა ვერ შეძლეს ხარვეზის სრულად გამოსწორება და, რადგან არ უშუამდგომლიათ საპროცესო ვადის გაგრძელებაზე, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვე-ბის წინაპირობები.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორთა არგუმენტი იმის თაობა-ზე, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობები. ამ შემთხვე-ვაში პალატამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები:

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხ-ლი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც შინაარსობ-რივად ანალოგიური სახითაა რეგლამენტირებული საქართველოს კონსტიტუციის

⁴⁰ სუსგ 15 თებერვალი, 2018, №ას-143-143-2018.

21-ე მუხლში. თავად სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ დანაწესს საქმის სამართლიან განხილვაზე, არამედ-მოიცავს ისეთ ფართო ელემენტებსაც, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო ხელმისაწვდომობა. თავად სასამართლო ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება, ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს, თუმცა შეზღუდვა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ლეგიტიმურ საფუძველს ემყარება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ შეზღუდვა უნდა იყოს დასახული მიზნის პროპორციული და თავად ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება. მართლია, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება წარმოადგენს ლეგიტიმურს, რამდენადაც იგი პირდაპირაა მოწესრიგებული სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და ემსახურება კიდევაც სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მიზანს, თუმცა როგორც ხსენებული ნორმა, ისე – ამ მუხლის მე-7 ნაწილი (სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება, გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით) საქმის მასალებთან მჭიდროდ უნდა განიმარტოს.

საკასაციო პალატამ საქმის მასალების შესწავლის შედეგად გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ ხარვეზი სრულყოფილად არ არის გამოსწორებული (სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტებს გადაწყვეტილების უსწორობის თაობაზე, უფრო მეტიც, აპელანტი, რომელიც არის მოსარჩელე, მიუთითებს, რომ ახალი გადაწყვეტილებით არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა, ასეთივე უსწორობებს შეიცავს სააპელაციო საჩივრის საფუძვლები), თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე დადგენილი ვადის დაცვით ასრულებს საპროცესო მოქმედებას (გასათვალისწინებელია ის სუბიექტური ფაქტორიც, რომ მას არ ჰყავს წარმომადგენელი) და მიიჩნევს, რომ ხარვეზი გამოსწორებულია, სასამართლომ უნდა მისცეს შესაძლებლობა, დააზუსტოს, აღმოფხვრას ის ნაკლოვანებები, რომლებიც საპროცესო მოქმედებას შესაძლოა, ახასიათებდეს. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ითვალისწინებს სწორედ იმ გარემოებებს, რომ მხარემ გადაიხადა როგორც სახელმწიფო ბაჟი, ისე – წარადგინა სააპელაციო საჩივარი, თუმცა თავად შესრულება იყო ხარვეზიანი (სააპელაციო საჩივარი შეიცავდა შინაარსობრივ ხარვეზს), შესაბამისად, ამ შემთხვევაში სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენება შეუსაბამოა და სასამართლო უფლებამოსილი იყო, ეხელმძღვანელა მათ შორის საპროცესო სამართლის იმ ზოგადი დანაწესებით, რომლებიც საპროცესო ვადების საკითხს აგვარებს (სსსკ-ის 64-ე მუხლი).

3.14. სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზის გადაცილების ნაწილში მხარეს არასწორად დაუდგინდა ხარვეზი და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არასწორად დაედო საფუძვლად სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა.⁴¹ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დაადგინა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გადაცილების მიზეზის მითითება;

განჩინებით, იმ მოტივით, რომ მხარეს არ ჰქონდა მითითებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გადაცილების მიზეზი, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ ხარვეზი სრულყოფილად არ გამოასწორა და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

არათუ სააპელაციო სამართალწარმოების, არამედ საქმის განხილვის არცერთი ინსტანციის მარეგულირებელი წესები არ ქმნის შესაძლებლობას, სასამართლომ დაადგინოს ხარვეზი და მხარეს მოსთხოვოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზის განმარტება, რადგანაც, თუკი მოსამართლე დაასკვნის, რომ გასაჩივრების საპროცესო ვადა დარღვეულია, მიუხედავად ამ ვადის დარღვევის საპატიო მიზეზის არსებობისა, ვალდებულია, საჩივარი დატოვოს განუხილველად, რადგანაც ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებისა და განჩინების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზის გადაცილების ნაწილში მხარეს არასწორად დაუდგინდა ხარვეზი და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არასწორად დაედო საფუძვლად სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო/საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადით შეზღუდვა სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს ემყარება, თუმცა ეს ვადა სასამართლოს მხრიდან ყოველთვის ზედმინევნით უნდა იქნეს შესწავლილი, რათა დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს ამავე კოდექსის მე-2 მუხლით, ასევე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, ამასთანავე, სასამართლოს მხრიდან საკითხის ზედმინევნითი ანალიზი უზრუნველყოფს მოგებული მხარის ინტერესების დაცვასაც, რაც გონივრული პროპორციაა შეჯიბრებითობის პრინციპი-დან გამომდინარე (სსკ-ის მე-4 მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 259¹ მუხლის კონტექსტით გასათვალისწინებელია

⁴¹ სუსგ 4 მაისი, 2018, №ას-282-282-2018.

ის გარემოება, რომ რაიონულმა სასამართლომ, მიუხედავად მხარის მიერ საპროცესო ვადის დარღვევით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნისა, ვერ უზრუნველყო მოპასუხის ინტერესების დაცვა, მან გადაწყვეტილება მოვიანებით გაუგზავნა მხარეს და ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მან დადგენილ ვადაში წარადგინა სააპელაციო საჩივარი. ამ ფაქტების ყოველმხრივი ანალიზი (სსს.კ-ის 105-ე მუხლი) ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ საფუძვლიანია სასამართლოს მხრიდან საპროცესო ვადის დარღვევის თაობაზე კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუშვებელია, მხარეს წაერთვას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმის მასალების ანალიზით არ იქმნება უაღტერნატივო დასკვნის საფუძველს იმისა, რომ თავად მხარემ დაარღვია ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

3.15. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის – დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა.⁴² გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის აღნიშვნით, რადგან ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში მითითებული არ ყოფილა აპელანტის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და აპელანტის თავად უნდა განესაზღვრა, ამ უკანასკნელს, მისი არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში, უნდა მისცემოდა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, კერძოდ, სასამართლოს, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრიდან ირკვეოდა დავის საგნის ლირებულება, აპელანტისათვის უნდა განემარტა, თუ სახელმწიფო ბაჟის რამდენით გადახდა იყო საჭირო ხარვეზის სრულად შევსებისათვის.

მთლიანად აპელანტმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 151 ლარი და, საბოლოოდ, 159.66 ლარიდან მას გადასახდელი დარჩა მხოლოდ 8.66 ლარი. ამ პირობებში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ზომა – ხარვეზის შეუცემებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, იყო არაპროპორციული საშუალება, რომელიც არ შეესაბამებოდა დასახულ მიზანს – სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინ-

⁴² სუსგ 21 ნოემბერი, 2018, №ას- 1022-2018

ტერესებს შორის – დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვის სტადიოდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

3.16. კერძო საჩივრის ავტორს ბრალი არ მიუძღვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის დაგვიანებით ჩაბარებაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო მომჩივნისთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან მომდევნო დღეს.

კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.⁴³

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიმართა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 23-ე და 28-ე დღეს და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, შესაბამისად, მან შეასრულა სსსკ-ის 259¹ მუხლით დაკისრებული ვალდებულება, ასევე, დადგენილია, რომ სასამართლოს კერძო საჩივრის ავტორისათვის 2017 წლის 9 ნოემბრამდე დასაბუთებული გადაწყვეტილება არ გადაუცია. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ დებულებაზე, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, გადაცემის მომენტიდან. ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორს ბრალი არ მიუძღვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის დაგვიანებით ჩაბარებაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო მომჩივნისთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან მომდევნო დღეს – 2017 წლის 10 ნოემბერს და ამონურა ამავე წლის 24 ნოემბერს, 24 საათზე (მდრ. საქმეები № ას-988-920-2017, 12.09.17, №ას-895-835-17 8.04.17. №ას-266-254-17 4.04.17).

საქმის მასალებით, დადასტურებულია, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სააპელაციო საჩივარი 2017 წლის 24 ნოემბერს, ანუ კანონით დადგენილ გასაჩივრების 14 – დღიანი ვადის მიხედვით წარადგინა (სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი).

⁴³ სუსგ 6 თებერვალი, 2018, №ას-48-48-2018.

4. სააპელაციო საჩივრის განუხელვებად დატოვების თაობაზე კერძო საჩივრის უარყოფის პრაქტიკა

კერძო საჩივარი, ხარვეზის შეუცხებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხელვებად დატოვების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.⁴⁴

4.1. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, სააპელაციო საჩივრის განუხელვებად დატოვების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა გადაიხადა ბაჟი, მაგრამ გვიან წარადგინა სასამართლოში.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,⁴⁵ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებების ასლები მხარეს მის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა და, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, 2016 წლის 26 ივლისს ორგანიზაციის კანცელარიას ჩატარდა.

სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხარვეზის გამოსწორების 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 27 ივლისიდან და ამოიწურა 9 ავგისტოს. ამ ვადის განმავლობაში აპელანტს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით არ მიუმართავს სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატამ სავსებით გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების შეფასება სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად გამოიყენა სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი. სასამართლოს აზრით, ამ დასკვნის საპირისპიროდ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული კერძო საჩივრის ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მან ხარვეზი საპროცესო ვადის დაცვით გამოასწორა. მართალია, კერძო საჩივარს ერთვის №51655 ელექტრონული საგადახდო დავალების ასლი, რომელიც მოწმობს, რომ წინამდებარე საქმეზე კერძო საჩივრის ავტორმა 2016 წლის 29 ივლისს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 4 350 ლარი, თუმცა სააპელაციო პალატამ დაადგინა და კერძო საჩივრის ავტორს სადაც არ გაუხდია ის გარემოება, რომ მას განსაზღვრული ვადის დაც-

⁴⁴ სუსგ 26 ოქტომბერი, 2018, № ას-1301-2018, ასევე სუსგ-ები: 22 სექტემბერი, 2017, №ას-884-824-2017, 15 ივლისი, № ას-558-533-2016, 12 ივლისი, № ას-521-498-2016, 31 მარტი, 2016, № ას-861-811-2015, 1 მარტი, 2019 წელი, №ას-1829-2018, 23 დეკემბერი, 2019, №ას-1149-2019, 1 ნოემბერი, 2019, №ას-1186-2019, 31 იანვარი, 2020, №ას-1175-2019, 14 თებერვალი, 2020, №ას-1728-2019, 27 აპრილი, 2020, № ას-1795-2019, 30 ივნისი, 2020, №ას-214-2020, 17 მარტი, 2020, №ას-42-2020, 17 მარტი, 2020, №ას-50-2020, 22 ივნისი, 2020, №ას-233-2020, 12 მარტი, 2020, №ას-236-2020, 6 აპრილი, 2020, №ას-238-2020, 9 სექტემბერი, 2020, №ას-244-2020, 11 მაისი, 2020, №ას-258-2020, 30 მარტი, 2020, №ას-1515-2019, 21 თებერვალი, 2020, №ას-1544-2019, 20 თებერვალი, 2020, №ას-1780-2019, 11 მარტი, 2020, №ას-35-2020, 20 მაისი, 2020, №ას-53-2020, 5 ივნისი, 2020, №ას-1194-2019, 28 თებერვალი, 2020, №ას-1611-2019, 5 ივნისი, 2020, №ას-1732-2019.

⁴⁵ სუსგ 11 ნოემბერი, 2016, №ას-874-841-2016.

ვით ხარვეზის გამოსწორების შესახებ ცნობით (ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით) სასამართლოსთვის არ მიუმართავს. ამ თვაღლსაზრისით, საკასაციო პალატამ მოიხმო ამავე სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკაც: ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც მხარის გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას შეეხებოდა, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი, რომ უწყება ვერ შენიშნა კანცელარიის თანამშრომელმა, შესაბამისად, საკასაციო პალატის განმარტებით, ორგანიზაციის საქმიანობის შიდა სტრუქტურული ხარვეზები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საპროცესო უფლების განუხორციელებლობის საპატიო მიზეზს არ წარმოადგენდა / სუსკ №ას-959-1238-09, 28 დეკემბერი, 2009). საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ადრესატს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება ჩაპბარდა დადგენილი წესით და მას ამ განჩინებით ამომწურავად განემარტა ხარვეზის გამოსწორების წესი და ვადა, მათ შორის, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის ამავე ვადაში წარდგენის აუცილებლობა, ასევე, ამ მოქმედების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების შედეგები, პალატამ კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მან დროულად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ კანცელარიის თანამშრომლებს გამორჩათ მხედველობიდან აღნიშნული ქვითარი, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად არ მიიჩნია.

4.2. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კერძო საჩივარი იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა.

საქმის ფაბულის მიხედვით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელეს გაეგზავნა 2015 წლის 24 დეკემბერს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, 2015 წლის 25 დეკემბერს ჩაპბარდა ორგანიზაციის კანცელარიას. სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეტანილია 2016 წლის 11 იანვარს. საკასაციო პალატამ გაიზიარა საპროცესო ვადის გამოთვლის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ პალატამ სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა აპელანტისათვის დაიწყო მოვლენის დადგომის მომდევნო დღეს-2015 წლის 26 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე - 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. მითითებული ნორმიდან გამოდინარე, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა ამოიწურა 2016 წლის 8 იანვარს, რომელიც არც უქმე და არც დასვენების დღე არ ყოფილა. ამავე კოდექსის

63-ე მუხლი კი, ადგენს საპროცესო ვადის დარღვევით წარდგენილი დოკუმენტების განუხილველად დატოვებას.⁴⁶

4.3. საკასაციო პალატამ აპელანტის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლის გამო, ვინაიდან აპელანტს კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული განჩინების ასლის მისაღებად საქალაქო სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არ შეუსრულებია.

კონკრეტულ საქმეზე⁴⁷ სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ საქალაქო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა აპელანტის წარმომადგენელი. საქმის მასალებში წარდგენილი არ არის იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აპელანტი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში გამოცხადდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაპარება. აღნიშნული ფაქტის დადასტურება კი, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, აპელანტი მხარის მოვალეობას წარმოადგენდა.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს კანონით დადგენილი ვადის მიხედვით დასაბუთებული განჩინების ასლის მისაღებად საქალაქო სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არ შეუსრულებია. მხოლოდ მხარის განმარტება, რომ იგი ტელეფონით უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს და იგებდა განჩინების მომზადების შესახებ, ზემოთ მითითებული კანონის დანაწესის შესრულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული განჩინების ჩაპარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ის 369-ე, 259¹ მუხლების შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ვადის ათვლა დაიწყო მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო დღეს, 2015 წლის 7 დეკემბერს და ამოინურა 2015 წლის 21 დეკემბერს, მხარემ კი სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 22 დეკემბერს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

ანალოგიურად არ დააკმაყოფილა საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც გასაჩივრების ვადის გასვლის გამო სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოცხადდა სასამართლოში, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული გა-

⁴⁶ სუსგ 15 აპრილი, 2016, №ას-258-246-2016, 24 მარტი, 2017, №ას-136-128-2017, 14 ივნისი, 2017, №ას-585-544-2017, 19 ივნისი, 2019, №ას-875-2019, 6 იანვარი, 2020, №ას-1261-2019, 28 თებერვალი, 2020, №ას-1278-2019, 13 ივნისი, 2020, №ას-459-2019, 17 თებერვალი, 2020, №ას-1784-2019.

⁴⁷ სუსგ 16 მარტი, 2016, №ას-130-126-2016, 20 იანვარი, 2017, №ას-1061-1021-2016.

დაწყვეტილების ჩაპარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს.⁴⁸

საკ-ის 259¹ მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან, თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუდრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიპაროს გადაწყვეტილების ასლი.

სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ვალდებულება ფაკულტატურია და, შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, „გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუდრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიპაროს გადაწყვეტილების ასლი“. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისას, მოქმედებს დანაწესი, რომლის თანახმად – „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სასამართლო გადაწყვეტილების მსურველი მხარის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღემდე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოუცხადებლობა წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღის (მიუხედავად იმისა, უქმედება თუ არა) მომდევნო დღიდან, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი“ (სუს 2015 წლის 12 იანვრის №ას-843-807-2014 განჩინება).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27-28 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მოპასუხის წარმომადგენელი, რომლის შესაბამისი უფლებამოსილება დადასტურებულია საქმის მასალებში წარდგენილი მინდობილობით.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ აპელანტი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადე-

⁴⁸ სუს 30 მარტი, 2016, №ას-204-194-2016, 7 აპრილი, 2017, №ას-205-194-2017, 20 იანვარი, 2017, №ას-1061-1021-2016, ასევე, 30 ივნისი, 2018, №ას-721-721-2018, ასევე სუსგ-ები: №ას-1040-994-2013, 9 დეკემბერი, 2013 წელი, №ას-429-401-2017, 5 მაისი, 2017 წელი, №ას-1478-1398-2017, 26 იანვარი, 2018 წელი, №ას-221-221-2018, 29 ივნისი, 2018 წელი.

ბიდან 30-ე დღეს გამოცხადდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება.

სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლი ამკვიდრებს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების სტანდარტს, კერძოდ, ყოველი მხარე მოვალეა, სათანადო მტკიცებულებით გაამყაროს ის ფაქტი, რომელსაც საკუთარ პრეტენზიას აფუძნებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში წარდგენილი არ არის იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აპელანტის წარმომადგენელი კანონით დადგენილ ვადაში მართლაც გამოცხადდა სასამართლოში და მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ ჩაიბარა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. მითითებული ფაქტის დადასტურება აპელანტი მხარის მოვალეობას წარმოადგენდა.

დაუსაბუთებელია მხარის მოსაზრებაც, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებაზე დამსწრე მხარე არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდება ისეთ მხარესთან შედარებით, რომელიც არ გამოცხადდება სხდომაზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დროულად არ მოამზადებს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას დაესწრო და აღნიშნული მომენტიდან მე-20-30-ე დღეებში გამოცხადდა სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა ვერ ჩაიბარა სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების ვადაში მოუმზადებლობის გამო, უფლებამოსილია, წერილობითი მოთხოვნით მიმართოს აღნიშნულ სასამართლოს. მას შემდეგ, რაც სასამართლო კანცელარიაში დაფიქსირდება ამგვარი წერილობითი განაცხადი სასამართლო მოვალეა, შესაბამისი მოხელის სახით, რეაგირება მოახდინოს მხარის მოთხოვნაზე და დააფიქსიროს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ არის. ამ მომენტიდან მხარე თავისუფლდება სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებისაგან და მის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვალის დენადაინწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარების მომენტიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარ შემთხვევებში მხარის უფლებების დაცვას.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს კანონით დადგენილი ვადის დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის მისაღებად საქალაქო სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არ შეუსრულებია. მხოლოდ მხარის განმარტება, რომ იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოცხადდა სასამართლოში, ზემოთ მითითებული კანონის დანაწესის შესრულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს.

საკასაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული სადავო გარემოების დადასტურებად არ მიიჩნია საქმის მასალებში წარდგენილი მოპასუხის განცხადება, რომ მხარემ სასა-

მართლოს მიმართა წერილობითი მტკიცებულებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხარისათვის დაგვიანებით გადაცემის დადასტურების შესახებ მისი ბრალის გარეშე. კერძო საჩივრის ავტორს საქალაქო სასამართლოს წერილობითი დასტური მითითებულ ფაქტზე არ წარუდგენია.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 369-ე, 259⁴⁹ მუხლების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად აითვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო დღიდან და ჩათვალა, რომ მხარემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მოსარჩელეს კანონით დადგენილი ვადის მიხედვით დასაბუთებული განჩინების ასლის მისაღებად სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არ შეუსრულებია. შესაბამისად, მხოლოდ მხარის განმარტება, რომ მისი მეუღლე უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს, კანონის დანაწესის შესრულებად ვერ ჩაითვლება.

ერთ-ერთ საქმეზე⁴⁹ საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხებმა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით წარადგინეს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები, რომელიც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორებს მათ მიერ მითითებული გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენიათ და მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლნენ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის სასამართლოს ბრალით მიღების შეუძლებლობის ფაქტი შეიძლება, დადასტურდეს სასამართლოს კანცელარიაში უფლებამოსილი პირის მიერ ჩაბარებული განცხადებით და სასამართლო მოხელის მიერ იმ გარემოების დადასტურებით, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მზად არ არის (იხ. სუსგ, №ას-1040-994-2013, 09.12.2013). პალატამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სსსკ-ის 259 (1) ნორმა ადგენს მხარის (რომელიც ესწრება ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება) ვალდებულებას, მითითებულ ვადაში გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადა აითვლება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტებმა თავიანთი არგუმენტის სარწმუნოდ დასაბუთება ვერ შეძლეს და ამისათვის მხოლოდ განმარტება საკმარისი არ არის.

⁴⁹ სუსგ 15 სექტემბერი, 2020, № ას-678-2020

4.4. ფოსტის მეშვეობით სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნა არ შეიძლება, ჩაითვალოს სსსკ-ის 259¹-ე მუხლით განსაზღვრული მხარის ვალდებულების განხორციელებად.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,⁵⁰ ვინაიდან აპელანტს კანონით განსაზღვრულ ვადამი გადაწყვეტილება არ ჩაუტარებია და სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა საპროცესო ვადის დარღვევით, საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი, სსსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად იქნა დატოვებული განუხილველად დაუშვებლობის გამო.

მოცემულ საქმეზე არ დასტურდება და კერძო საჩივარის ავტორიც არ ხდის სადავოდ, რომ მან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა სასამართლოს მიმართა გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მოთხოვნით. საჩივარის ავტორი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ მის-თვის უცნობი იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი და, ამასთან, მიუთითა ფოსტით გაგზავნილი წერილებით არაერთგზის მოთხოვნილი დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ, რომელიც ჩა-ბარების შემდეგ კანონით დადგენილ 14-დღიანი ვადის დაცვით გაასაჩივრა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კერძო საჩივარის ავტორის ზემოაღნიშნული მოსაზრებები და პირველ პრეტეზიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის სასამართლო სხდომის თაობაზე მისი ინფორმირების ფაქტი, კერძოდ, დადგენილია, რომ კერძო საჩივარის ავტორი პირადად ესწრებოდა მოცემულ საქმეზე რაიონულ სასამართლოში 2015 წლის 6 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლო სხდომას, რომელზეც მხარეებს ეცნობათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი. რაც შეეხება მის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების არაერთგზის მოთხოვნის თაობაზე კერძო საჩივარის ავტორის მითითებას, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მომჩივანმა 2015 წლის 26 ოქტომბერს და 2016 წლის 8 იანვარს სასამართლოში ფოსტით გააგზავნა წერილები რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების მისთვის გადაცემის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფოსტის მეშვეობით სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნა არ შეიძლება ჩაითვალოს სსსკ-ის 259¹-ე მუხლით განსაზღვრული მხარის ვალდებულების განხორციელებად. პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ადგენს მხარის (რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ან მისთვის ცნობილი იყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი) ვალდებულებას, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად, გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მოცემული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სსსკ-ის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, იმ პატიმრებისთვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბა-

⁵⁰ სუსგ 13 მაისი, 2016, №ას-249-237-2016.

რებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასამართლო თავისი ინიციატივით გადაწყვეტილებას უზავნის სსსკ-ის 46-ე მუხლში მითითებულ პირებს ან დაპატიმრებულებს, თუ მათ არ ჰყავთ წარმომადგენელი. აპელანტი კი, როგორც საქმის მასალებით დგინდება, არ წარმოადგენს ამ ნორმით განსაზღვრულ პირს.

4.5. სასამართლომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია არ მიიჩნია დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით მომზადების დასტურად.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით მომზადება დასტურდება გადაწყვეტილების მომზადებისა და საერთო სასამართლოების ვებგვერდზე (<http://info.court.ge>) ატვირთვის თაობაზე საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით და აღნიშნა, რომ ამგვარი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.⁵¹

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს კანონით დადგენილი ვადის მიხედვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად საქალაქო სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არ შეუსრულებია. მხოლოდ მხარის განმარტება, რომ გადაწყვეტილება მომზადდა მხოლოდ 2016 წლის 6 ივნისს, როდესაც მოპასუხემ იგი ჩაიბარა კიდეც, ზემოთ მითითებული კანონის დანაწესის შესრულებად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს.

4.6. იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დაწესებული საპროცესო ვადის დაცვით მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც სასამართლოსთვის არ მიუმართავს შუამდგომლობით, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით კვლავ გააგრძელოს ვადა.

ერთ-ერთ საქმეზე⁵² საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე აპელანტის კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, განმარტა, რომ სსსკ-ის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი (სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება, გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით) გარკვეულწილად ზღუდავს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგ-

⁵¹ სუსგ 21 სექტემბერი, 2016, №ას-770-738-2016.

⁵² სუსგ 7 ივლისი, 2016, №ას-417-400-2016.

რძელებასთან დაკავშირებით და აღნიშნული ვადის გაგრძელებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მხარე მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ და საკუთარი ინიციატივით აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებით დროს ვერ განუსაზღვრავს.

სსსკ-ის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა (წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი) და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის (საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება) ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დაწესებულ საპროცესო ვადის დაცვით მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც სასამართლოსთვის არ მიუმართავს შუამდგომლობით, პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით კვლავ გაეგრძელებინა ვადა აპელანტისათვის, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობებს ქმნიდა.

4.7. სააპელაციო სასამართლომ განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო და სასამართლო სხდომა ჩანიშნა, თუმცა წარმოებაში მიღების შემდეგ შეიტყო, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.⁵³

სააპელაციო სასამართლომ განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო და სასამართლო სხდომა ჩანიშნა, თუმცა წარმოებაში მიღების შემდეგ შეიტყო, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.⁵³ საქმეზე დადგენილია, რომ განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7 დღეში: ა) სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრისა და ბ) დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა, რომელშიც მითითებული იქნებოდა გადაწყვეტილების რა ნაწილს ასაჩივრებდა აპელანტი, გადაწყვეტილების უსწორობის არსი და კონკრეტულად რას მოითხოვდა მხარე. აპელანტს სასამართლოს მიერ დაგენილი ვადის მიხედვით ხარვეზი სრულად არ გამოუსწორებია, კერძოდ, აპელანტმა წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ხოლო დაზუსტებული და კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივარი სასამართლომ არ შეუტანია. ასევე, აპელანტს არ მოუთხოვია საპროცესო ვადის გაგრძელება. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მიერ მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხარვეზის გამოსასწორებულად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება.

⁵³ სუსგ 29 ივლისი, 2016, №ას-618-590-2016.

- 4.8. სასამართლომ განმარტა, რომ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის არაერთხელ გაგრძელება წარმოადგენს არა მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, რითაც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები ილა- ხება, არამედ პროცესის გაჭიანურებასაც.

კონკრეტულ საქმეში, საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და სააპელაციო სასამართლოს განჩინება განუხილველად დატოვა. საქმის მასალე- ბის მიხედვით აპელანტს დაუდგინდა რა ხარვეზი, შემდეგ გონივრული ვადით არა- ერთხელ გაუგრძელდა ვადა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხარვეზის შესავსებად დად- გენილი ვადის არაერთხელ გაგრძელება წარმოადგენს არა მხოლოდ შეჯიბრებითო- ბის პრინციპის დარღვევას, რითაც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები ილახება, არა- მედ პროცესის გაჭიანურებასაც, რაც სასამართლოს მიერ საქმის განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის წინაპირობაა.

სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილი ხარვეზის გონივრული ვადით გაგრძე- ლების მოთხოვნის შემთხვევაშიც მხარემ გარკვეული მტკიცებულებებით უნდა და- ადასტუროს მის მიერ ხარვეზის დროულად შეუვსებლობის ობიექტური მიზეზები.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყოველი უფლება, მათ შორის, საპროცესოსამართლებრივი, გამოყენებული უნდა იქნეს მართლზომიერად და კე- თილსინდისიერად. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ით- ვალისწინებს სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელებას, თუმცა არ ნიშ- ნავს იმას, რომ ვადა გაგრძელდეს დაუსრულებლად. სასამართლო საქმეს იხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შე- ღავათის გავრცელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეორე მხარის ინტერესე- ბი. სასამართლომ მხარეთა ინტერესებისა და განსახილველი შუამდგომლობის სა- ფუძვლიანობის ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს მეორე მხარის უფლებები.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მართე- ბულად არ მიიჩნია აპელანტის მიერ შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები სახელმწიფო ბაჟის გადახდის კიდევ ერთხელ გადავადების საფუძვლად და მართე- ბულად დატოვა განუხილველად.⁴⁴

- 4.9. იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა პირის სამართლიანი სასამართლოს უფ- ლება, გამოყენებულ უნდა იქნეს ე.წ „პროპორციულობის ტესტი“, რომე- ლიც მოიცავს იმ საკითხთა ანალიზს, ჩარევა იყო თუ არა ლეგიტიმური და არსებობდა თუ არა ამ ჩარევის მწვავე აუცილებლობა, ანუ ესა თუ ის ქმე- დება მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება არის თუ არა. სააპელა- ციონ სასამართლომ ორჯერ გაუგრძელა აპელანტს ხარვეზის შესავსები ვა- და, ხოლო მესამედ არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებელი შუამდგომლობა და

⁴⁴ სუსგ 21 დეკემბერი, 2016, № ას-912-878-2016

სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

ერთ-ერთი საქმის ფაქტულის მიხედვით,⁵⁵ სააპელაციო სასამართლომ ორჯერ გაუგრძელა აპელანტის სარვეზის შესავსები ვადა. განსაზღვრულ ვადაში აპელანტმა კვლავ მიმართა განცხადებით სასამართლოს და იშუამდგომლა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებული განჩინებით შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ხოლო, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა შემდეგი არგუმენტა-ციით: არ გაიზიარა მფლობელის პრეტენზიები მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის თაობაზე და განმარტა, რომ ზოგადი წესის თანახმად, სამართალწარმოების განხორციელებაზე უარის თქმა ნიშნავს ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევას, თუმცა, მხოლოდ ეს საკითხი უფლების დარღვევად არ განიხილება. იმის დასადგენად დაირღვა თუ არა პირის უფლება, გამოყენებულ უნდა იქნეს ე.ნ. „პროპორციულობის ტესტი“, რომელიც მოიცავს იმ საკითხთა ანალიზს, ჩარევა იყო თუ არა ლეგიტიმური და არსებობდა თუ არა ამ ჩარევის მწვავე აუცილებლობა, ანუ ესა თუ ის ქმედება მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება არის თუ არა. საგულისხმოა, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლის ანალოგიური შინაარსის უფლებას განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ფუნდამენტურ საფუძველს, ზემოხსენებული საკონსტიტუციო დათქმის, ასევე, საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის ფარგლებში, წარმოადგენს მხარეთა თანასწორობის საფუძველზე სამართალწარმოების განხორციელება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი პირის მიმართ ამა თუ იმ საპროცესო შეღავათის განვისას გასათვალისწინებელია მეორე მხარის ინტერესებიც. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის არაერთი შუამდგომლობა დააკმაყოლა რა პალატამ და მას არაერთხელ დაუდგინა ვადა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისა, აპელანტს, ნაცვლად ხარვეზის თუნდაც ნაწილობრივ გამოსწორებისა, მხოლოდ დაუსაბუთებელი შუამდგომლობები შეჰქონდა სასამართლოში საპროცესო ვადის უკანასკნელ დღეს და ყოველგვარი მტკიცების გარეშე მოითხოვდა ვადის კვლავ გაგრძელებას. ამ შემთხვევაში, ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცული სიკეთის რეალიზაციისა ირღვეოდა ამავე კონვენციის პირველი დამატებით ოქმით დაცული აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი, რადგან თავად აპელანტი, როგორც ითქვა, ყოველგვარი მტკიცების გარეშე ითხოვდა დანიშნული ვადის კვლავ გაგრძელებას, თავის მხრივ, არ გამოსწორდა რა არცერთ ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს სწორედ სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი ნარმოადგენდა (იხ. ასევე საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი).

მოხმობილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად საკასაციო პალატამ და-

⁵⁵ სუსგ 25 მაისი, 2017, №ას-234-222-2017, ასევე, 17 თებერვალი, 2017, №ას-1218-1177-2016.

ასკვნა, რომ ჩარევას ჰქონდა ლეგიტიმური საფუძველი და იგი პროპორციული იყო მიზნის მისაღწევად (სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება), რის გამოც კერძო საჩივრის ავტორის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების (რაც მოიცავს სასამართლო ხელმისაწვდომობასაც) დარღვევის ფაქტი არ დგინდება.

4.10. სსსკ-ის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის დათქმის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით გამოიკვეთა მხარის ინტერესი დავის მიმართ და საკუთარი ინიციატივით გაუგრძელა აპელანტს ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, არ გაეგრძელებინა საპროცესო ვადა აპელანტისათვის და იმთავითვე დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

საქმის ფაბულის მიხედვით დადგენილია, რომ სააპელაციო პალატამ განჩინებით სსსკ-ის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე აპელანტ საზოგადოებას დაუდგინა ხარვეზი და დაავალა 7 დღეში სააპელაციო პალატისათვის წარედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

აპელანტმა იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან გადახდის გადავადების შესახებ კომპანიის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო. სააპელაციო პალატამ განჩინებით იმსჯელა მხარის შუამდგომლობაზე, იხელმძღვანელა სსსკ-ის 47-48-ე მუხლებით და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები არ ადასტურებს აპელანტის მძიმე მატერიალურ მდგომარეობასა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობას უტყუარად, ვინაიდან საზოგადოების რაიმე სახის შემოსავალი, ანგარიშზე არსებული თანხები ან სხვა უძრავ-მოძრავი ქონება არ მტკიცდებოდა.

სსსკ-ის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის დათქმის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით გამოიკვეთა მხარის ინტერესი დავის მიმართა და საკუთარი ინიციატივით გაუგრძელა აპელანტს ხარვეზის საპროცესო ვადა დამატებით 7 დღით.

აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის დაცვით ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რის გამოც სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეს ზემოაღნიშნული შუამდგომლობით სააპელაციო პალატისათვის არ მიუმართავს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, არ გაეგრძელებინა საპროცესო ვადა აპელანტისათვის და იმთავითვე დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველად. აღნიშნულის მიუხედავად, მხარეს ყველა შესაძლო საშუალება მიეცა სასამართლოს მხრიდან, რათა გამოესწორებინა ხარვეზი და სრულიად დაუსაბუთებელია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის თაობაზე კერძო საჩივრის ავტორის მითითება.⁵⁶

⁵⁶ სუსგ 2 ნოემბერი, 2016, №ას-927-892-2016.

4.11. დაუშვებელია, გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორებამ და შესწორებული გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემამ გავლენა მოახდინოს იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილ წესზე.

კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.⁵⁷ საქმის მასალებით დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა გასაჩივრებული განჩინება 2018 წლის 16 მარტს ჩაიბარა. შესაბამისად, სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის 59.1, მე-60 და 61-ე მუხლების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა, 2018 წლის 17 მარტიდან დაიწყო და იმავე წლის 30 მარტს ამოიწურა. საქმის მასალებითვე დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელს გასაჩივრებული განჩინების ასლი განმეორებით, 2018 წლის 10 აპრილს გადაეცა, თუმცა გასაჩივრების ვადა მოცემული თარიღიდანაც რომ აითვალის, სააპელაციო საჩივარი მაინც ვადის დარღვევითაა წარდგენილი, რადგან ამ შემთხვევაშიც ვადა 2018 წლის 24 აპრილს ამოიწურა. საქმის მასალებით კი, ირკვევა, რომ მოპასუხებ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, 2018 წლის 2 მაისს, წარადგინა. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით, სააპელაციო საჩივარი, სსსკ-ის 374-ე მუხლის საფუძველზე, მართებულად დარჩა განუხილველად.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტიც, რომელიც **სააპელაციო საჩივრის დაგვიანებით წარდგენას უკავშირებს გასაჩივრებულ განჩინებაში დაშვებულ უსწორობას და ამ უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების მისთვის ჩაბარების თარიღს.**

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სსსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა არაფრით უკავშირდება სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადას. აღნიშნული გარემოება არ შეიძლება, გახდეს სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაუბარებლობად მიჩნევისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების ვადის სხვაგვარად ათვლის საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ზღუდავს პროცესის მონაწილე მხარეს, მოითხოვოს გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომების გასწორება მათი აღმოჩენისთანავე. შესაბამისად, არ შეიძლება გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორებამ და შესწორებული გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემამ გავლენა მოახდინოს იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილ წესზე.

4.12. სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეცდომით ასახული საქმისწარმოების შედეგის შესწორება არ შეიძლება, გახდეს სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაუბარებლობად მიჩნევისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების ვადის სხვაგვარად ათვლის საფუძველი.

⁵⁷ სუსგ 27 სექტემბერი, 2018, №ას-769-769-2018.

კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.⁵⁸ კერძო საჩივრის ავტორი საპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებას სადავოდ ხდიდა იმ საფუძვლით, რომ საპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალი გასაჩივრების ვადა და 2016 წლის 30 დეკემბრის ნაცვლად, 14-დღიანი საპროცესო ვადის ათვლის პირველ დღედ მიიჩნია 29 დეკემბერი. აღნიშნული პრეტენზიის საფუძვლად კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა კერძო საჩივარზე დართულ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლზე, რომლის ბოლო გვერდზე დასმულ ბეჭედზე „ასლი დედანთან სწორია“ – მითითებულია თარიღი 28 დეკემბერი, 2016 წელი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული გადაწყვეტილება მან ჩაიბარა სწორედ 28 დეკემბერს, თუმცა, მისივე განმარტებით, ვინაიდან გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომები, მოსამართლის თანაშემნის თხოვნით, მეორე დღეს, 2016 წლის 29 დეკემბერს, მან აღნიშნული გადაწყვეტილება დაუბრუნა სასამართლოს, რომელმაც იმავე დღეს გამოასწორა შეცდომა და მხარეს გადაწყვეტილება შესწორებული სახით ჩაბარა 2016 წლის 29 დეკემბერს. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სწორედ ამ დღეს (29 დეკემბერს) ჩაბარებული გადაწყვეტილება უნდა მიეჩნია სასამართლოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის დაცვით ჩაბარებულად და ვადის ათვლა დაეწყო მომდევნო დღიდან.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პრეტენზია და აღნიშნა, როგორც საქმის მასალებით უდავოდ არის დადგენილი, მოპასუხე ესწრებოდა საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 30 ნოემბერს გამართულ სასამართლო სხდომას და, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო სხდომაზე გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი. დადგენილია, რომ საპელაციო საჩივრით სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებით მიღებული შედეგი გაასაჩივრა მოპასუხემ და არც მანამ და არც საპელაციო საჩივარში არსად მიუთითებია, რომ საქმეზე არსებობდა განსხვავებული შედეგის სხვა გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ დაუშვა ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური უსწორობების გასწორება შესაძლებელია როგორც სასამართლოს, ასევე – მხარის ინიციატივით, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს უსწორობის გასწორების თაობაზე განჩინება (სსს კ მუხლი 260). ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგი და მან, როგორც თვითონ მიუთითებს, დასაბუთებული გადაწყვეტილება მასში დაშვებული ტექნიკური შეცდომით ჩაიბარა 2016 წლის 28 დეკემბერს, აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სასამართლოს მიერ დაშვებული უსწორობის გასწორების საფუძველს ქმნიდა, რისი მოთხოვნითაც მას შეეძლო, მიემართა სასამართლოსთვის და აღნიშნული უფლება არ განუხორციელებია, თუმცა იმ პირობებშიც კი, თუ დადასტურებულად მიიჩნევა, რომ სასამართლომ დაუშვა ტექნიკური ხასიათის შეც-

⁵⁸ სუსგ 18 მაისი, 2017, № ას-239-227-2017, ასევე, სუსგ-ები: 29.06.2016, №ას-507-484-2016, 31 მარტი, 2017, №ას-288-272-2017.

დომა და მხარისათვის გადაცემული დასაბუთებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეცდომით ასახა საქმისნარმოების შედეგი, ხოლო მომდევნო დღეს იგივე გადაწყვეტილება მხარეს ჩააბარა შესწორებული სახით, აღნიშნული გარემოება არ შეიძლება, გახდეს სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაუბარებლობად მიჩნევისა და სააპელაციო საჩივრის ნარდგენისათვის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების ვადის სხვაგვარად ათვლის საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ზღუდავს პროცესის მონაწილე მხარეს, მოითხოვოს გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორება მათი აღმოჩენისთანავე. შესაბამისად, არ შეიძლება, გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორებამ და შესწორებული სახით აღნიშნული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემამ გავლენა მოახდინოს იმავე გადაწყვეტილების მხარის მიერ ჩაბარების კანონით დადგენილ წესზე. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ჩაბარების წესის აღნიშნულის საწინააღმდეგოდ განმარტების შემთხვევაში, საფუძველი ეცლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმას, რომლითაც განსაზღვრულია გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება (სსსკ 259¹-ე მუხლი).

4.13. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმაცია, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მხარეთათვის ცნობილია კანონის ამა თუ იმ დანაწესის შესახებ. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხის ნარმომადგენელს სსსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების დრო და ადგილი, მხარისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის პროცედურაც, რომლის დაცვითაც მისთვის არახელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას შეძლებდა.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა⁵⁹ და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინება დარჩა უცვლელად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის დასაშვებ პერიოდს განსაზღვრავს სსსკ-ის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტია ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად – გადაგზავნის დრო. ამავე კოდექსის 259¹ მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწ

⁵⁹ სუსგ 16 ნოემბერი, 2018, №ას-1430-2018.

ყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი ან, თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან, თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.

აღნიშნული ვალდებულება ფაკულტატურია და, შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად – „გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი“. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედებს დანაწესი, რომლის თანახმად „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 20-დან 30-ე დღემდე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოუცხადებლობა წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღის (მიუხედავად იმისა, უქმედლეა თუ არა აღნიშნული) მომდევნო დღიდან, რადგან, სსსკის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სუსგ 2015 წლის 12 იანვრის №ას-843-807-2014).

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით ეცნობა მოპასუხის წარმომადგენელს. აღნიშნული გარემოება დასტურდება სხდომის ოქმზე თანდართული ხელწერილით. მოპასუხებ სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2018 წლის 28 მაისს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტს ან მის წარმომადგენელს სა-

რეზოლუციონ ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში გადაწყვეტილების ჩა-ბარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ, სსსკ-ის 259¹ მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადა დაიწყო 2018 წლის 11 მაისიდან და დასრულდა 2018 წლის 25 მაისს, 24:00 საათზე. აპელანტმა კი სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოში შეიტანა 2018 წლის 28 მაისს, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, რის გამოც სააპელაციო საჩივარი კანონი-ერად დარჩა განუხილველად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმუცია, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მხარეთათვის ცნობილია კანონის ამა თუ იმ დანაწესის შესახებ. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხის წარმომადგენელს სსსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების დრო და ადგილი, მხარისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის პროცედურაც, რომლის დაცვითაც მისთვის არახელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას შეძლებდა. ნინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებაზე, სადაც საქმის განხილვის შედეგთან ერთად სასამართლო დამტებით განუმარტავდა გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილ წესსაც.

4.14. მხარეს უნდა წარედგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ამ უკანასკნელის მიერ სსსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით საპროცესო მოქმედების შესრულების შეუძლებლობას.

კონკრეტულ საქმეზე კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.⁶⁰ საქმის ფაბულის მიხედვით, ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის საპატიო მიზეზად მოპასუხე მიუთითებს ავადმყოფობაზე, რაც, სსსკ-ის 215.3 მუხლის მიხედვით, საპატიო მიზეზად მიიჩნევა, მაგრამ საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსსკ-ის 102.1 და 103.1 მუხლები მოპასუხეს ავალდებულებს, სასამართლოს წარუდგინოს მის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს უნდა წარედგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ამ უკანასკნელის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულების შეუძლებლობას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარდგენილი ჯანმრთელობის შესახებ ცნობა არ ადასტურებს სადაც პერიოდში მოპასუხის ავადმყოფობის ფაქტს. ამ ცნობის მიხედვით, მოპასუხემ ექიმს მიმართა ხარვეზის შევსების ვადის გასვლიდან ერთი თვის შემდეგ, რაიმე სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებას, საქმეში წარდგენილი არაა, შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისათვის ხარვეზის შევსების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი და, აქედან გამომ-

⁶⁰ სუსგ 18 მაისი, 2018, №ას-366-366-2018, 1 მარტი, 2019 წელი, №ას-1829-2018.

დინარე, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატის აზრით, სამართალნარმოების შეზღუდვაზე მოპასუხის მითითება ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული პირის უფლება, თავის უფლებათა დასაცავად, მიმართოს სასამართლოს, სამოქალაქო პროცესში შეზღუდულია სამართალნარმოების ეკონომიურობისა და მხარეთა თანასწორობის დაცვის პრინციპებით. ცხადია, რომ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ „**არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე**“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება, დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება „თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდუების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე“ (იხ. *Golder judgment, p. 19, para. 38, quoting the “Belgian Linguistic” judgment of 23 July 1968, Series A no. 6, p. 32, para. 5.*).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას უდგენს გარკვეულ შეზღუდვებს, მათ შორის, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (სსსკ-ის 46-48-ე მუხლები), ანესებს სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის ვალდებულებას (სსსკ-ის 38-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, 39.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 52-ე მუხლი) და გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს თავად სააპელაციო საჩივარს ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით (სსსკ-ის 372-ე, 177.3-ე და 368.1-ე მუხლები), რომელთა შესრულება სავალდებულოა აპელანტისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აპელანტი არ შეასრულებს კანონით დადგენილ ვალდებულებებს და სასამართლოს მითითებებს, იგი ვეღარ დაეყრდნობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ვერ მოითხოვს მისი საქმის განხილვას, ვინაიდან მიიღებს იმ უარყოფით საპროცესო შედეგს, რასაც ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა კანონით დადგენილი ვალდებულებებისა თუ სასამართლოს მითითებების შეუსრულებლობისათვის (სსსკ-ის 59-ე, 63-ე, 368.5, 374.1 მუხლები).

4.15. როდესაც აპელანტი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების ვადა სასამართლოს მხრიდან დაირღვა, სწორედ, მან უნდა ამტკიცოს ეს ფაქტი.

კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. **გასაჩივრების ვადის გასვლის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დარჩა უცვლელად.⁶¹**

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რაიმე მტკიცებულება, რომელიც სასა-

⁶¹ სუსგ 22 თებერვალი, 2019, №ას-1777-2018.

მართლოს მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების ვადის დარღვევას, კანონით განსაზღვრულ ვადაში მოსარჩელეთა/მათი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებას და გადაწყვეტილების ჩაბარების შეუძლებლობას დაადასტურებდა, საქმეში წარმოდგენილი არ არის. მართალია, კერძო საჩივარში მხარე უთითებს სატელეფონო კომუნიკაციაზე სასამართლოს აპარატთან, ასევე, სასამართლოს შვებულებაში ყოფნის ფაქტზე, თუმცა, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მას არ წარუდგენია მის მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საკასაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე, 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დასახელებული ნორმის ანალიზით დასტურდება, რომ კანონმდებელი სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენის დასაწყისს უკავშირებს მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტს, რომელიც, ერთი მხრივ, სსსკ-ის 259¹ მუხლით განსაზღვრული ვადის განმავლობაში მხარის გამოცხადებისა და გადაწყვეტილების ჩაბარების შედეგად იწყება, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც გასაჩივრების მსურველი მხარე არ ცხადდება კანონით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დენის დასაწყისი კანონის ძალით, აითვლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, რადგანაც, სსსკ-ის 259¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი ან, თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუდრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, გამოცხადეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. უდავოა ის ფაქტიც, რომ კერძო საჩივრის ავტორები სსსკ-ის 259¹ მუხლის მე-2 ნაწილის სუბიექტები არ არიან.

შეიძლება ითქვას, რომ სსსკ-ის 259¹ მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს აქვს არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სსსკ-ის 259¹ მუხლის შინაარსი არ შეიძლება, გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა ანესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი – იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2

ნაწილის დანაწესი (*იხ. სუსგ №ას-1161-1106-2014/დიდი პალატა], 2014 წლის 30 დეკემბერი).*

სასამართლოს მხრიდან სასკ-ის 257-ე (2) მუხლით განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების შეუძლებლობის მტკიცება კერძო საჩივრის ავტორებს ეკისრებოდათ, თუმცა მათ ამ კუთხით სათანადო მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ, სხვა შემთხვევაში, თუკი დადასტურდება სასამართლოს მხრიდან საპროცესო ვადის დარღვევა, ეს, ბუნებრივია, მხარეს არ შეიძლება, შეერაცხოს ბრალად. მსგავს სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ არაურთ განჩინებაში დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ მხარეს არ უნდა შეეზღუდოს კანონიერი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, გაასაჩივროს მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლოს მხრიდან ამ გამონაკლისის დაშვება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებას, რომლითაც დადგინდება სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების დროულად მოუმზადებლობის ფაქტი. თავის მხრივ, საგულისხმოა, რომ სააპელაციო საჩივრის დროულად წარუდგენლობა მოგებული მხარის უფლებებზე ახდენს გავლენას, რადგანაც მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება იძენს აღსრულებად ძალას (*სსსკ-ის 264-ე მუხლის (1) „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული, ხოლო, 267-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ*). სამოქალაქო პროცესი აგებულია რა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე (*იხ. სსსკ-ის მე-4 და მე-5 მუხლები*), ზოგადი წესის თანახმად, მხარე, საკუთარი პოზიციის მტკიცების მიზნით, თავადაა ვალდებული, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები (*იხ. სსსკ-ის 103-ე მუხლი*). იმგვარ ვითარებაში, როდესაც აპელანტი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების ვადა სასამართლოს მხრიდან იქნა დარღვეული, სწორედ მან უნდა ამტკიცოს ეს ფაქტი, ამ მხრივ, 259¹ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა შესაბამისი მიდგომა, როდესაც მხარე კანონით დადგენილ ვადაში ცხადდება სასამართლოში და გადაწყვეტილების დროულად მოუმზადებლობის ფაქტს ხელმოწერით ადასტურებს სასამართლო მოხელე, ასევე, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარის მოთხოვნით სასამართლო შესაბამისი ცნობით ადასტურებს გადაწყვეტილების დროულად მოუმზადებლობის ფაქტს. ამგვარი შინაარსის მტკიცებულება საქმეში არ არის, ხოლო სასამართლოსთან სატელეფონო კომუნიკაციისა თუ შვებულებაში ყოფნის თაობაზე მხარის ზეპირი განმარტება არ გამოდგება სადაც ფაქტის სამტკიცებლად.

4.16. საქმის ფაბულის მიხედვით საჩივარი სარჩელის აღმრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.⁶²

⁶² სუსგ 1 თებერვალი 2017, №ას-108-101-2017.

საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძვლით, რომ სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სააპელაციო სასამართლომ არ განუმარტა მხარეს საპროცესო ვალდებულების არსებობის – სარჩელის შეტანის აუცილებლობის შესახებ და **არ დაუდგინა საპროცესო ვადა განსახორცილებელად.**

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 192-ე მუხლი, რომლის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში განცხადება შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღეში. თუ ამ ვადის დაცვით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად.

მითითებული ნორმა ითვალისწინებს ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანა სარჩელის აღძვრამდე. აღნიშნული შესაძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგადი წანამდლორების არსებობისას, თუმცა საგულისხმოა, რომ კანონის იმპერატიული ხასიათის დანაწესი ადგენს ამგვარი საპროცესო ღონისძიების შემდეგ სარჩელის მაქსიმალურად უმოკლესი ვადის მიხედვით აღძვრას, რათა არ დაირღვეს ბალანსი გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროებასა და იმ მხარის უფლებებს შორის, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოყენებული, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის საკუთარი უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

სწორედ აღნიშნულითა განპირობებული სსსკ-ის 192-ე მუხლით განმცხადებლისათვის საკმაოდ შემჭიდროვებული ვადის განსაზღვრა, კერძოდ, განმცხადებელი ვალდებულია, სარჩელი წარადგინოს სასამართლოში მისი წინასწარ უზრუნველყოფიდან ვადით – 10 დღეში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ დასაბუთებას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი ვადების იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო ვადები უდიდესი მნიშვნელობისაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ვინაიდან სამართალწარმოების მიზანია არა მხოლოდ პირის დარღვეული ან სადაცოდ ქცეული უფლების დაცვა, არამედ განხორციელება გონივრული ვადების მიხედვით.

გარკვეულ შემთხვევებში კანონმდებელი პირდაპირ არ აწესებს რაიმე კონკრეტულ პერიოდს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, თავად განუსაზღვროს მხარეს საპროცესო ვადა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, როგორც ეს

ხდება, თუნდაც საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ შესაგებლის წარდგენისათვის საპროცესო ვადის დაწესებისას და სხვა შემთხვევებში. ასეთ დროს მხარე უფლება-მოსილია, მოითხოვოს საპროცესო ვადის გაგრძელება ობიექტური საჭიროების შემთხვევაში და, თავის მხრივ, სასამართლოსაც აქვს უფლებამოსილება, გაუგრძელეს მხარეს საპროცესო ვადა გონივრული ფარგლებით (**სსკ-ის 64-ე მუხლი**).

სასამართლოს მიერ დასადგენი ვადებისაგან განსხვავდება სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსით იმპერატიულად განსაზღვრული ვადები. ძირითადი განსხვავება სწო-რედ ისაა, რომ კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. შესაბამისად, საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს მკაცრად მითითებულ დრო-ის პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შეუსრულებლობას ნორმის ადრესატი მხარისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ასეთ ვადათა რიცხვს განეკუთვნება სსკ-ის 192-ე მუხლით დადგენილი 10-დღიანი ვადა.

ამდენად, განმცხადებელი ვალდებული იყო, სარჩელი ალექრა სარჩელის ალძვრამდე მისი უზრუნველყოფის მომენტიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ნორმის მოქმედე-ბაზე ვერ იმოქმედებს ის საკითხი, განუმარტა თუ არა სასამართლომ მხარეს 10-დღი-ანი ვადის არსებობისა და ამ დროისათვის სარჩელის ალძვრის ვალდებულების შესა-ხებ.

საგულისხმოა, რომ სარჩელის ალძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხა-დების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 192-ე მუხლი, შესაბამისად, ცხადია, რომ განმცხადებელი გაეცნო ნორმის შინაარსს და მის მოთხოვნებს. ამას-თან, გონივრული განსჯის შედეგად, სასამართლოსათვის ამგვარი განცხადებით მი-მართვას თან უნდა სდევდეს სარჩელის წარდგენა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს არა მხოლოდ შესაძლებლო-ბა, არამედ ვალდებულებაც ჰქონდა, გაეთვალისწინებინა კანონის დანაწესი, ვინაი-დან კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება, იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

5. საპროცესო ვადის აღდგენის საკითხები

5.1. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა და არ დააკმაყოფილა კასატორის განცხადება გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.⁶³

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინების სასამართლო სხდომაზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდნენ კასატორები. ასეთ შემთხვევაში კასატორები ვალდებული იყვნენ, გასაჩივრებული განჩინების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის მიერმართათ არაუგვიანეს 2016 წლის 27 ოქტომბრისა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორებს განჩინების ასლის მისაღებად სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილ ვადაში არ მიუმართავთ.

ამდენად, სსსკ-ის 259¹ მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2016 წლის 28 ოქტომბერს და ამოინურა ამავე წლის 17 ნოემბერს, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი წარდგენილ უნდა ყოფილიყო 2016 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.

2016 წლის 21 ნოემბერს კასატორებმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის შეტანის საპროცესო ვადის აღდგენა. სასამართლომ განცხადება არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ, სსსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

5.2. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი შინაარსობრივად საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადებაა და ის განსახილველად გადასცა სააპელაციო სასამართლოს.

კონკრეტული საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

წარდგენილი კერძო საჩივრით მხარე მოითხოვს გაშვებული საპროცესო ვადის საპატიოდ მიჩნევასა და ვადის აღდგენას.

საკასაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის 66-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომელ-შიც უნდა შესრულებულიყო საპროცესო მოქმედება.

შესაბამისად, კერძო საჩივარი განსახილველად გადასცა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.⁶⁴

⁶³ სუსგ 25 ნოემბერი, 2016, №ას-959-924-2016, 22 თებერვალი, 2016, №ას-31-31-2016, 29 ნოემბერი, 2016, №ას-1071-1030-2016, სუსგ-ები: 25 მაისი, 2017, №ას-547-510-2017, 18 ოქტომბერი, 2016, №ას-790-757-2016, 29 მაისი, 2015, №ას-221-208-2015, 30 მაისი, 2017, №ას-466-434-2017, 21 აპრილი, 2017, №ას-369-343-2017, 25 მაისი, 2017, №ას-547-510-2017, 24 დეკემბერი, 2018, №ას-1014-2018, 23 მაისი, 2019, №ას-326-2019.

⁶⁴ სუსგ 23 მარტი, 2016, №ას-270-257-2016.

5.3. საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი საპროცესო ვადის აღდგენის მოთხოვნით არ დააკმაყოფილა.⁶⁵

სხვა საქმეში,⁶⁶ საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა და განმარტა, რომ სსსკ-ის 65-ე მუხლი, მართალია, დასაშვებად მიიჩნევს საპროცესო ვადის აღდგენას, თუმცა ამ საპროცესო საშუალების გამოყენება არ არის შეუზღუდავი, ნორმის დისპოზიციის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზია ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები. 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი კი, განსაზღვრავს, რომ საპატიო მიზეზად მიიჩნევა მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. განსახილველ შემთხვევაში, არათუ კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის, არამედ რაიმე, თუნდაც სუბიექტური მიზეზის მითითებას კერძო საჩივარი არ შეიცავს, რის გამოც პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს საპროცესო ვადის აღდგენის საკითხი.

5.4. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა დაუშვებელია, ანუ იმ პირობებშიც კი, თუ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდება გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ სასამართლოში საჩივრის საპატიო მიზეზით წარდგენის შეუძლებლობა, კანონი არ უშვებს დარღვეული საპროცესო ვადის აღდგენას.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ დარჩა უცვლელად.⁶⁷

სასამართლომ მიუთითა, სადაცო არ არის ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 29-ე დღეს მოპასუხეების წარმომადგენელმა მიმართა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით და იმავე დღეს ჩაიბარა იგი, ასევე – აპელანტებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, 2016 წლის 12 აგვისტოს ნაცვლად – იმავე წლის 15 აგვისტოს.

კერძო საჩივრის ავტორები სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებას სადაცოდ ხდიან იმ საფუძვლით, რომ მათ წარმომადგენელს, ჯან-

⁶⁵ სუსგ 16 მაისი, 2016, №ას-308-293-2016, 21 აპრილი, 2017, №ას-369-343-2017.

⁶⁶ სუსგ 25 ნოემბერი, 2016, №ას-959-924-2016, 22 თებერვალი, 2016, №ას-31-31-2016.

⁶⁷ სუსგ 28 აპრილი, 2017, № ას-45-41-2017.

მრთელობის გაუარესების გამო, არ ჰქონდა შესაძლებლობა, სააპელაციო საჩივარი წარედგინა კანონით განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც მათ შეეზღუდათ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და დარღვეული საპროცესო ვადის აღდგენის საფუძვლად არ მიიჩნია კერძო საჩივრის ავტორთა პრეტენზია და განმარტა:

სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით უზრუნველყოფილი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება გარკვეულ ლეგიტიმურ შეზღუდვებს ექვემდებარებოდეს. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. მითითებული ნორმა თანაბრად ვრცელდება როგორც პირველი ინსტანციის, ისე – ამ ინსტანციის გადაწყვეტილების ზემდგომი წესით გასაჩივრების უფლებაზე. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ მაგალითს საპროცესო ვადა წარმოადგენს, კერძოდ, სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. სასამართლო გადაწყვეტილებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო გასაჩივრების უფლების რეალიზაციისათვის სპეციალურ დანარხეს გვთავაზობს სსსკ-ის 369-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. აღნიშნული სპეციალური ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა დაუშვებელია. ანუ, იმ პირობებშიც კი, თუ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდება გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ სასამართლოში საჩივრის საპატიო მიზნით წარდგენის შეუძლებლობა, კანონი არ უშვებს დარღვეული საპროცესო ვადის აღდგენას.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს საერთაშორისო პრაქტიკაც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეგლამენტაციას, რომელიც შეიძლება, განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის, საზოგადოებისა და პირის მოთხოვნილებისა და რესურსების მიხედვით. საქმეზე „აშინგდეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა უფლების შეზღუდვის ზოგადი ფარგლები: შეზღუდვები შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს იმ შემთხვევაში, თუ: ა) ემსახურება კანონიერ მიზანს, ბ) დაცულია გონივრული თანაბარზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის (*Ashingdane v. The United Kingdom, №. 8225/78, გვ. 28 მაისი, 1985 წელი*). ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.

- 5.5. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარიც სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა სააპელაციოშესაგებლის წარსადგენად დადგენილი ვადის აღდგენაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მხარეს უარი ეთქვა სააპელაციო შესაგებლის წარსადგენად დადგენილი ვადის აღდგენაზე. საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი ამ განჩინებაზე არ დააკმაყოფილა.⁶⁸ კონკრეტული საქმის მასალებით დასტურდება და კერძო საჩივრის ავტორიც არ ხდის სადაცოდ იმ გარემოებას, რომ აპელაციის მოწინააღმდეგე მხარის კანცელარიას სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი დოკუმენტები ჩაპბარდა 2015 წლის 17 ნოემბერს. შესაბამისად, მისთვის სააპელაციო შესაგებლის წარდგენისათვის დაწესებული 7-დღიანი ვადის დენა დაიწყო 18 ნოემბერს და ამოინურა 2015 წლის 24 ნოემბერს, 24:00 საათზე. დადგენილია, რომ მოწინააღმდეგემ გაუშვა სააპელაციო შესაგებლის წარსადგენად სასამართლოს მიერ დადგენილი ვადაც.

კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევას, რასაც იმით ასაბუთებს, რომ სააპელაციო შესაგებლის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი, რომელიც 2015 წლის 27 ნოემბერს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან არაკომპეტენტურობისა და საკუთარ მოვალეობებთან ზერელე დამოკიდებულების გამო. აღნიშნულ თანამდებობაზე კი დაინიშნა სხვა პირი, რომლისთვისაც საქმეები არ გადაუბარებიათ, რის გამოც ვერ მოხერხდა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადის დაცვით შესაგებლის წარდგენა.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია და განმარტა, რომ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის აღდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 65-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზია ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის (ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლონათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე) დანაწესიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ისეთი გარემოება, რომელიც მხარისაგან და-

⁶⁸ სუსგ 6 ივნისი, 2016, №ას-345-330-2016.

მოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების დრო-ულად შესრულებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება – ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება, ვერ იქნება მიჩნეული განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად, ვინაიდან მოწინააღმდეგე იურიდიული პირია, შესაბამისად, მან ისე უნდა უზრუნველყოს თავისი საქმიანობა (მოცემულ შემთხვევაში იურიდიული სამსახურის მუშაობა), რომ ამა თუ იმ თანამშრომლის მიერ თანამდებობის დატოვებამ არ შეაფერხოს იურიდიული პირის ნორმალური ფუნქციონირება. სათანადო მენეჯმენტის არქონა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად ვერ მიიჩნევა და, ცხადია, არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების ვალდებულებისაგან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ სააპელაციო შესაგებლის დაგვიანებით წარდგენა გამოწვეული იქნებოდა ობიექტური (საპატიო) მიზეზებით, აღნიშნული თავისთავად არ გამორიცხავდა ორგანიზაციის მიერ საკუთარი უფლებების სხვა თანამშრომლის/უფლებამოსილი ნარმომადგენლის მეშვეობით დაცვის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოწინააღმდეგის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი 2015 წლის 27 ნოემბერს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ორგანიზაციის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებელისათვის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაწესებული ვადის ამოწურვისას, 2015 წლის 24 ნოემბერს, იგი ჯერ კიდევ ასრულებდა თავის მოვალეობას სამსახურში, რაც უსაფუძვლოს ხდის კერძო საჩივრის ავტორის იმ პრეტენზიას, რომ ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო დაირღვა სააპელაციო შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილი საპროცესო ვადა.

6. საპროცესო ვალის პროცესუალური საქმის თანახმობის განახლებისას

- 6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს სამოქალაქო სამართალნარმოების მხარეების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილები, რომებმაც შეიძლება, დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების თაობაზე განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და განახლდა საქმისწარმოება სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან.⁶⁹

საქმის ფაბულის მიხედვით, განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მოხელის აქტით დასტურდება, რომ დარღვეულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მომზადების კანონით დადგენილ ვადა. ამასთან, მართალია, განმცხადებლისთვის ცნობილი იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის ფაქტი, თუმცა ის გარემოება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა აღნიშნული, მისთვის ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივნისის განჩინების ჩაბარების შემდეგ ანუ მოცემული საქმისწარმოების დასრულების შემდეგ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელი უთითებს, რომ მან 2018 წლის 15 მაისს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 21-დღიანი ვადის დაცვით მიმართა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 259-ე მუხლით დადგენილი, მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების 3-დღიანი ვადის დარღვევით, 2018 წლის 4 ივნისს, გაუგზავნა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია, „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლო-სადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ

⁶⁹ სუსგ 26 ნოემბერი, 2018, №ა-3540-ა-8-2018.

მიზანს შორის (*Liakopoulou v. Greece, 2006-7/04, §17, 2006, ECHR*). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. საქმეში „გიორგი ნიკოლაევიჩ მიხაილოვის რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლომ ვადის შემზღვეველი პროცედურული ნორმა ისეთნაირად განმარტა, რომ ხელი შეუშალა მომჩივნის საჩივრის გამოკვლევას, რის შედეგადაც ამ უკანასკნელის სასამართლოს ეფექტური დაცვის უფლება დაირღვა“ (*Georgiy Nikolayevich Mikhayliv v. Russia, 4543/04, §57, 2010, ECHR*). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ, როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (*Legal certainty*), ეს არ არის უპრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ აშკარა იყო პროცედურული მოთხოვნის არაგონივრული კონსტრუქცია, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუდთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (*Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR*) (*იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014*).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემნის აქტით დადასტურებული გარემოების გათვალისწინება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა დაგვიანებით, სასარგებლო გავლენას იქონიებდა საკასაციო საჩივრის სამართლებრივ ბედზე და მის განუხილველად დატოვებას არ გამოიწვევდა. შესაბამისად, არასწორია გასაჩივრების ვადის ათვლის საწყისად 2018 წლის 30 აპრილის მიჩნევა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა დაგვიანებით 2018 წლის 4 ივნისს, რომელიც მხარეს ჩაპარდა 2018 წლის 5 ივნისს, კანონით დადგენილი გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2018 წლის 6 ივნისს, რომელიც ამოიწურა 2018 წლის 26 ივნისს. დადგენილია, რომ საკასაციო საჩივარი წარდგენილია 2018 წლის 25 ივნისს. შესაბამისად, განმცხადებელს არ დაურღვევია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული ვადა, რაც, სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმისწარმოების განახლების საფუძველია.

- 6.2. სსსკ-ის 426-ე მუხლის მეოთხე ნაწილის იმპერატიული ნორმის თავისებურება ისაა, რომ იგი არ იძლევა ნორმაში მოცემული დანაწესისაგან სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას. მასში მითითებული ქცევის წესი მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა, ამასთან, აღნიშნული ნორმით არ არის გათვალისწინებული მოცემული ვადის არც გაგრძელების, აღდგენისა და არც შეჩერების შესაძლებლობა.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ შეაფასა სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების დაუშვებლად ცნობის მართლზომიერება.⁷⁰ კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა მის მიერ ახალ გარემოებებზე მითითება, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს ქმნიდა, ამასთან, არასწორად მიიჩნია განცხადება ვადის დარღვევით წარდგენილად.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიების შემოწმების მიზნით მიუთითა სსსკ-ის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მამინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსსკ-ის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წარმატებით წარმატები.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები მოცემულია სსსკ-ის 423-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

გარდა ამისა, კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე საპროცესო ვადების დაცვას და განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადის ათვლას უკავშირებს იმ დღეს, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების საფუძვლების არსებობა (სსსკ 426-ე მუხლი). აღნიშნული ნორმა, ამავე დროს, იმპერატიულად განსაზღვრავს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის მაქსიმალურ ვადას და აღნიშნული საფუძვლით მოთხოვნის წარდგენას დაუშვებლად მიიჩნევს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის

⁷⁰ სუსგ 7 მარტი, 2018, № ას-1560-1480-2017.

გასვლის შემდეგ (გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა – პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებული ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს; არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

აღნიშნული იმპერატიული ნორმის თავისებურება ისაა, რომ დანაწესისაგან სხვაგვარად ვერ განიმარტება. მასში მითითებული ქცევის წესი მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა, ამასთან, აღნიშნული ნორმით არ არის გათვალისწინებული მოცემული ვადის არც გაგრძელების, აღდგენისა და არც შეჩერების შესაძლებლობა (იხ. სუსგ საქმე №ას-427-399-ა-2017, 23 ივნისი, 2017 წელი; საქმე №ას-1075-1008-2012, 10 სექტემბერი, 2012 წელი; საქმე №ას-730-1100-06, 26 ოქტომბერი, 2007 წელი). ნორმის იმპერატიული ხასიათი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ამასთან, ამით დაცულია არა მხოლოდ მონინააღმდეგე მხარის ინტერესი, არამედ ნებისმიერი პირის კანონიერი, სამართლიანი და საფუძვლიანი ნდობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ (სუსგ საქმე №ას-1261-1181-2017; 17 ნოემბერი, 2017).

სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული 5-ნლიანი ხანდაზმულობის ვადის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ იგი წარმოადგენს აღმკვეთ ვადას, რომელიც გვხვდება არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობაში, არამედ, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე – ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართლებრივ სივრცეში. საკმარისია, გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის 5-ნლიანი ვადა, რომ დავა დაკონფლიქტი, საბოლოოდ, ვერასდროს გადაწყდება და შედეგად „პროცესის უკვდავებას“ მივიღებთ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს. კანონმდებლის მიერ 5-ნლიანი იმპერატიული ვადის დადგენით ისპობა ამ უფლებასთან დაკავშირებით ახალი დავის წარმოშობის შესაძლებლობა. სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი გამართლებულია სამართალში არსებული უფლებრივი წესრიგით. უფლება, როგორც ფასეულობა, არ შეიძლება მუდმივად, განუსაზღვრელად, საეჭვოობის (საცილოობის) ხასიათით არსებობდეს. თუკი კანონმდებლობა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, უსასრულოდ დაუშვებ-

და უფლების საეჭვოობის შესაძლებლობას, ეს თვით უფლების იდეის საწინააღმდეგო იქნებოდა და საფუძველს გამოაცლიდა სამართლებრივ წესრიგს. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლება წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას. ამ გამონაკლისის დაშვებით საფრთხე არ უნდა შეექმნას იმ ზოგად წესს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ვინაიდან, უფლების შესახებ დავა ყოველთვის ქმნის ამ უფლების განუსაზღვრელობას, სასამართლო ვალდებულია, წერტილი დაუსვას ასეთ მდგომარეობას და გადაწყვიტოს იგი. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვევეშ დაყენება, ნინააღმდეგ შემთხვევაში, საფუძველი გამოეცლებოდა სასამართლოსადმი სანდონბის ვარაუდს /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/161, „ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხრაპოვი საქართველოს პარლამენტის ნინააღმდეგ“/).

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, ამავე დღეს კანონიერ ძალაში შევიდა აღნიშნულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 20 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების თაობაზე განცხადება მხარემ სასამართლოში წარადგინა 2017 წლის 13 ოქტომბერს. საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ განმცხადებელს დარღვეული აქვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განცხადების წარდგენის სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მაქსიმალური – 5 წლიანი ვადა, რაც მისი მოთხოვნის განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა. ხოლო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგოდ რაიმე მსჯელობა მას არც საკასაციო სასამართლოსთვის არ წარუდგენია, სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, არ არსებობს მისი კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სამართლებრივი დასკვნა

საპროცესო ვადებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ პრაქტიკისთვის აქტუალურია, ძირითადად, გასაჩივრების ვადებთან, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ვადების პრობლემა საინტერესოდაა კომენტირებული უზენაესი სასამართლოს იმ განჩინებებში, რომლებიც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარდგენილ კერძო საჩივარს, ასევე, საკასაციო საჩივრის წარსადგენად გაშვებული ვადის ან საკასაციო ან კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შემთხვევაში მიღებულ განჩინებებს უკავშირდება.

სამართლებრივ დასკვნაში მოცემულია საკასაციო სასამართლოს განმარტებები და საინტერესო მოსაზრებები სამოქალაქო სამართალნარმოებაში საპროცესო ვადების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებით.

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა შეიძლება, შეზღუდვას დაექვემდებაროს. მისაღწევი მიზნის გათვალისწინებით კი, შეზღუდვა პროპორციულობის პრინციპთან თავსებადი უნდა იყოს. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ლეგიტიმური მიზნისა და დასაბალანსებელი ინტერესების მრავალ მითითებას შეიცავს. გოლდდერის საქმის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკით დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოგვარებას საჭიროებს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც, საზოგადოებისა და ინდივიდების საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება დროისა და ადგილის მიხედვით განსხვავებული იყოს („გოლდდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, საქმე №4451/70).⁷¹
- საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება.⁷²

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მრავლად გვხვდება საქმეები, როცა წარდგენილი საკასაციო საჩივარი ან კერძო საჩივარი განუხილველად რჩება სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის მოხედვით ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.⁷³

⁷¹ სუსგ 26 ოქტომბერი, 2018, № ას-1301-2018.

⁷² სუსგ 9.10.2018, №ას-1220-2018, 16ოემბერი, 2019, №ას-1186-2019, 21 მაისი, 2020, №ას-1670-2019.

⁷³ სუსგ-ები: 11 თებერვალი, 2016, №ას-4-4-2016, მრავალთა შორის: 5 თებერვალი, 2016, №ას-28-28-2016, 15 თებერვალი, 2016, №ას-44-44-2016, 29 თებერვალი, 2016, №ას-88-84-2016, 24 მარტი, 2016, №ას-126-122-2016, 4 მარტი, 2016, №ას-131-127-2016, 11 მარტი, 2016, №ას-174-169-2016, 7 აპრილი, 2016, №ას-226-216-2016, 11 აპრილი, 2016, №ას-232-221-2016, 14 აპრილი, 2016 №ას-248-236-2016, 16 თებერვალი, 2017, №ას-98-92-2017, 13 მარტი, 2017, №ას-146-138-2017, 23 ივლისი, 2019, №ას-1072-2019, 9 სექტემბერი, 2019, №ას-1104-2019, 10 იანვარი, 2020, №ას-1159-2019, 6 იანვარი, 2020, №ას-1616-2019, 14 თებერვალი, 2020, №ას-5-2020, №ას-1457-2019, 6 თებერვალი, 2020

- ხშირად მხარე ითხოვს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის შევსებას არა ერთხელ, არამედ – ორჯერ და მეტჯერ. საკასაციო სასამართლომ განმარტა რასსკ-ის 64-ე მუხლის დანაწესი, აღნიშნა, რომ სასამართლომ შეიძლება, საპროცესო ვადა გააგრძელოს მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, დისპოზიციურია და სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს საპროცესო ვადის გაგრძელების მსურველი მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული მიზეზის დასაბუთების სარწმუნობითა და საფუძვლიანობით.
- სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით (სსსკ-ის მუხლი 5), როდესაც თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული დავის ორივე მხარეს მყოფი სუბიექტების ინტერესები, სწორედ ამ მიზნითა დაწესებული საქმის განხილვის ვადები, რათა მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურებით არ შეილახოს იმ მოდავე პირის უფლებები, რომელიც მათ სასამართლო წესით დაცვას მოითხოვს.
- კასატორმა ხარვეზი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შეავსო, რის გამოც საკასაციო სასამართლომ საჩივარი განუხილველად დატოვა.
- საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი, გასაჩივრების ვადის გასვლის საფუძვლით, წარმოებაში მიღების შემდეგ განუხილველად დატოვა.⁷⁴
- გასაჩივრების ვადის დენის ათვლის წესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 259¹ მუხლით დადგენილი წესი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწეთან ერთობლივად ადგენს გასაჩივრების უფლების წარმოშობისა და ამ ვადის დენის დასაწყისს. სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 259¹ მუხლით დადგენილია შესასრულებლად სავალდებულო წესი, რომლითაც გასაჩივრების მსურველ მხარეს აქვს არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიპაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, აისახება მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე.

5 მარტი, 2020, №ას-12-2020, 27 მაისი, 2020, №ას-44-2020, 25 თებერვალი, 2020, №ას-72-2020, 25 თებერვალი, 2020, №ას-85-2020, 16 მარტი, 2020, №ას-152-2020, 11 მაისი, 2020, №ას-159-2020, 11 მაისი, 2020, №ას-210-2020, 28 ივნისი, 2020, №ას-302-2020, 22 ივნისი, 2020, №ას-370-2020, 14 სექტემბერი, 2020, №ას-530-2020, 6 ივნისი, 2020, №ას-551-2020, 19 მაისი, 2020, №ას-1806-2019, 27 მარტი, 2020, №ას-182-2020, 3 ივნისი, 2020, №ას-281-2020, 19 ივნისი, 2020, №ას-326-2020, 21 ივნისი, 2020, №ას-1087-2019, 26 თებერვალი, 2020, №ას-1755-2019, 6 იანვარი, 2020, №ას-1909-2018.

⁷⁴ სუსგ 22 ივნისი, 2016, №ას-517-494-2016.

- მხარემ სასამართლოში დროულად გამოცხადების სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, თუმცა მას დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ ჩაპხარებია, რაც ქმნის იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით.⁷⁵
- საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის კერძო საჩივარი და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიოდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, ვინაიდან სასამართლო მოხელის მიერ გაცემული წერილით დადასტურდა, რომ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი ვადის თანახმად არ მომზადდა.
- საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოში მხარის გამოცხადებლობის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლომ დროულად მოამზადა. ამ ვარაუდის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი კი ეკისრება იმ პირს, ვინც ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ყოველგვარი ეჭვი წყდება მხარის სასარგებლოდ.
- სსსკ-ის 259¹-ე მუხლი ითვალისწინებს მხარის ვალდებულებას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩასაბარებლად. ამავე დროს, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, ზემოაღნიშნულ ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება. სასამართლოს ევალება მხარის მიმართვის შემთხვევაში, კანონით დადგენილ დროს, დაუყოვნებლივ ჩაბაროს მას გადაწყვეტილება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება.⁷⁶

ანალოგიურ საქმეში საკასაციო პალატამ უდავოდ მიიჩნია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების 20-30 დღიანი ვადა სასამართლოს ბრალითა დარღვეული. პალატამ მიიჩნია, რომ საპროცესო წესები უნდა განიმარტოს მხარის სასარგებლოდ, მით უფრო, როდესაც მისმა წარმომადგენელმა დროულად არ მიიღო გარკვეული ზომები. ამასთანავე, საპროცესო წესების საპირისპირო განმარტება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სამართალნარმოებაზე უარის დაუსაბუთებლად გაცხადებასა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას განაპირობებს.⁷⁷

საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში /განჩინებაში განმარტა, რომ „259¹ მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს მხარის ვალდებულებას, მითითებულ ვადაში სასა-

⁷⁵ სუსგ 23 ივნისი, 2017, № ას-413-386-2017.

⁷⁶ სუსგ 10 მაისი, 2016, №ას-239-227-2016.

⁷⁷ სუსგ 28 ივლისი, 2017, №ას-863-806-2017.

მართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას ამ ვადაში, ეს გარემოება მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება და ვადის ათვლა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაიწყება“ (სუსგ ას- 1424-1344-2017, 16.01.2018, სუსგ-ებს: №ას-1371-1291-2017, 12.01.2017; №ას-1061-981-2017, 07.12.2017; №ას-1243-1163-2017, 06.12.2017; №ას-978-910-2017, 01.12.2017; №ას-1021-941-2017, 14.11.2017; №ას-1288-1208-2017, 23.10.2017).

- ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს უმოქმედობა გამორიცხავს საქმეში წარმოდგენილი სხდომის მდივნის მიერ შედგენილი აქტის გაზიარების შესაძლებლობას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა კანონით დადგენილი ვადის დაცვით, რადგანაც ალოგიკურია სასამართლოში გამოცხადებულ მხარეს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაეცეს გადაწყვეტილება მისი განსაზღვრული ვადის დაცვით მომზადების შემთხვევაში.⁷⁸
- საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 259 (1) მუხლი და შეუზღუდა მხარეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, არ გადასცა რა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ასლი, რომელიც მას, სასამართლოსადმი მიმართვის მიუხედავად, არ ჩაპერარებია.⁷⁹
- სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიმართ დარღვეულია „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, მართალია, ქმნის სააპელაციო სამართალნარმოების განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, თუმცა ნორმა არ შეიძლება, განიმარტოს მხარის საპროცესო უფლებების საზიანოდ.
- საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 259-ე მუხლი ადგენს, რომ მხარებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არაუგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან. გადაწყვეტილების ასლებს ხელს აწერს სასამართლოს კანცელარიის მდივანი და უსავამს სასამართლოს ბეჭედს, თუმცა ეს ნორმა არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ გადაწყვეტილების ასლის გადაცემა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასა-

⁷⁸ სუსგ 22 თებერვალი, 2019, №ას-1845-2018.

⁷⁹ სუსგ 31 მარტი, 2017, №ას-54-50-2017.

მართლოს ვალდებულებაა და იმ ვითარებაში, როდესაც საქმე საპელაციო სა-სამართლოს წარმოებაშია, მას ეკრძალება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისთვის ჩაბარების თაობაზე მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ნორმის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მხარის გარანტირებულ შესაძლებლობას, ისარგებლოს სა-სამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებით.

- საკასაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ მიიჩნია დარღვეულად, იმ საფუძვლით, რომ აპელანტის ხელწერილი მიიჩნია, არა დასა-ბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელ, არამედ, გადაწყვე-ტილების სარეზოლუციო ნაწილის მხარისათვის გადაცემის ფაქტის დამადას-ტურებელ მტკიცებულებად.⁸⁰
- საკასაციო სასამართლომ გაიზიარა წარმომადგენელთან სახელშეკრულებო ურ-თიერთობის შეწყვეტის თაობაზე კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია და საპრო-ცესო წესის დაუცველობის (სსსკ-ის 99-ე მუხლი) მიუხედავად, სააპელაციო სა-ჩივრის შეტანის ვადა გასულად არ მიიჩნია.⁸¹
- საკასაციო პალატამ ფაქტების ერთობლივად შეფასებით (აპელანტის მიერ გა-დაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა, ყოფილი წარმომადგენლის წერილობითი განმარტება) გაიზიარა წარმომადგენელთან სა-ხელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია და, მიუხედავად საპროცესო წესის დაუცველობისა, მიიჩნია, რომ გან-სახილველ შემთხვევაში, იგი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება, რადგანაც, სსსკ-ის 259¹ მუხლის თანახმად, გასაჩივ-რების მსურველ მხარეს არა უფლება, არამედ ვალდებულება აქვს, ჩაიბაროს გა-სასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ წესისაგან გამონაკლისი დაშვებულია და კანონი სასამართლოს უდგენს ვალდებულებას, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთ-ხოვნათა დაცვით ჩაბაროს გადაწყვეტილება იმ მხარეს, რომელიც ამავე კო-დექსის 46-ე მუხლის სუბიექტები არიან ან პატიმრები და არ ჰყავთ წარმომადგე-ნელი (იხ. სსსკ-ის 259¹.2 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხე არცერთ ზემოხსენებულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა, შესაბამისად, საერ-თოდ გაურკვეველი რჩება, რაიონული სასამართლოს მოქმედება საკუთარი ინი-ციატივით გადაწყვეტილების გაგზავნის თაობაზე რა საპროცესო წესს ემყარე-ბოდა. ამ დარღვევის შედეგად კი, საკასაციო პალატამ, სავარაუდოდ, მიიჩნია, რომ აპელანტი, თუკი თავად ჩაიბარებდა გადაწყვეტილებას, მას სსსკ-ის 99-ე მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობის ფაქტის შესახებ შესაძლებ-ლობა ექნებოდა, ეცნობებინა სასამართლოსათვის.
- ერთ-ერთ საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასა-მართლო მხარეს აძლევდა ხარვეზის ეტაპობრივად შევსების შესაძლებლობას,

⁸⁰ სუსგ 17 მარტი, 2017, №ას-126-118-2017.

⁸¹ სუსგ 24 მარტი, 2017, №ას-157-147-2017.

ხოლო აპელანტი ყოველ ჯერზე იხდიდა დაკისრებული თანხის ნაწილს და, საპოლონდ, 1866 ლარიდან მას გადასახდელი დარჩა მხოლოდ 266 ლარი (მან ჯამურად გადაიხადა დაკისრებული თანხის უმეტესი, დაახლოებით 85 პროცენტი), სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ზომა – ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება იყო არაპროპორ-ციული საშუალება, რომელიც არ შეესაბამებოდა დასახულ მიზანს – სასა-მართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.⁸²

სააპელაციო პალატას შეეძლო, ემსჯელა უფრო ნაკლებ რადიკალური ზომის, სსსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვის დასრულებამდე აპელანტისათვის დარჩენილი თანხის გადახდის გადავადების გამოყენებაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხ-ლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი, თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას. თავის მხრივ, შეზ-ღუდვა ლეგიტიმურია, თუ იგი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ საფუძველს ემყარება. ამგვარ საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქარ-თველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შეს-რულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტე-ბი და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელები არიან ფიზიკუ-რი და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალუ-რად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცე-მენ შესაბამის საბუთებს. თავის მხრივ, სსსკ-ის 52-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილ-ვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარ-და, წინასწარ შეაქვს იმ მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შეს-რულება მოითხოვა. სასამართლოს ხელმისაწვდომობის საყოველთაო უფლებით სარ-გებლობის ზემოხსენებული საკანონმდებლო შეზღუდვისაგან არსებობს გამონაკლი-სიც, თუმცა არ არის აბსოლუტური. მხარის მიმართ გარკვეული შეღავათის გამოყე-ნების საკითხი, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული წინაპირობების გარდა (სსსკ-ის 46-ე მუხლი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხ-ლი), სასამართლოს შეხედულებით წყდება, როდესაც სასამართლო საკითხს ე.წ „პრო-ცორციულობის ტესტის“ გამოყენებით აფასებს. ამ დროს სასამართლო იკვლევს მხარის ქონებრივ მდგომარეობას (რომელიც პირდაპირ და უტყუარ მტკიცებულე-ბებს ემყარება) და დარღვეული უფლების დაცვის ინტერესს. ამგვარი საგამონაკლი-სო წესი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, პირის უფლების შეზ-ღუდვასა და სახელმწიფო ინტერესს შორის სამართლიან ბალანსს ადგენს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსი (სსკ-ის 47-ე მუხლის პირველი წანილი, რომლის მოქმედებაც

⁸² სუსგ 6 აპრილი, 2017, № ას-66-62-2017.

ვრცელდება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ, აგრეთვე, სსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც თანაბრად ვრცელდება ორგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ). კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს სადავოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ. ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას, სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით უნდა გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები და განსახილველი შუამდგომლობის საფუძვლიანობისა და მეორე მხარის ინტერესების ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეიღანის მეორე მხარის უფლებები.

ამასთან, ცხადია, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება, დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება, განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდუების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე (**იხ. Golder v. The United Kingdom, № 4451/70. სამისამართლო, 1975 წელი**). თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვამ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა შეამციროს იმდენად ან იმ ფარგლებით, რომ დაირღვეს ძირითადი უფლების არსი (**იხ. Ashingdane v. The United Kingdom, № 8225/78, 28 მაისი, 1985 წელი**). სამოქალაქო სამართლანარმოების დაწყებისთვის ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან შეუსაბამოდ (**იხ. Weissman and Others v. Romania, №63945/00, სამისამართლო, 2006 წელი**). ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის უნარი, გადაიხადოს ის და სასამართლო პროცესის ეტაპი, რომელზედაც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა. უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობის გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (**იხ. საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ, №38736/04, სამისამართლო, 2008 წელი**).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო, დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, მომჩინის ინტერესებს შორის, დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვის სტადიოდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

- საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარვეზის განჩინება სააპელაციო პალატას უნდა გაეგზავნა არა სათანადო უფლებამოსილების არმქონე მეორე წარმომადგენლისათვის, არამედ თავად მოსარჩელისათვის. შესაბამისად, ხარვეზის დადგენის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჩაპპარდა არაუფლებამოსილ პირს და აღნიშნული ჩაბარებიდან ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა საჩივრის განუხილველად დატოვებას ვერ გამოიწვევს.⁸³
- სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე,⁸⁴ სადაც მხარემ გადაიხადა როგორც სახელმწიფო ბაჟი, ისე – წარადგინა სააპელაციო საჩივარი, თუმცა თავად შესრულება იყო ხარვეზიანი /სააპელაციო საჩივარი შეიცავდა შინაარსობრივ ხარვეზს/, სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენება არაშესაბამისად მიიჩნია და აღნიშნა, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო, ეხელმძღვანელა მათ შორის საპროცესო სამართლის იმ ზოგადი დანაწესებით, რომლებიც საპროცესო ვადების საკითხს აგვარებს / სსსკ-ის 64-ე მუხლი/, ე.ი. თავისი ინიციატივით უნდა გაეგრძელებინა საპროცესო ვადა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც შინაარსობრივად ანალოგიური სახითაა რეგლამენტირებული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში. თავად სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ დანაწესს საქმის სამართლიან განხილვაზე, არამედ – მოიცავს ისეთ ფართო ელემენტებსაც, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო ხელმისაწვდომობა. თავად სასამართლო ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება, ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს, თუმცა შეზღუდვა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლეგიტიმურ საფუძველს ემყარება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ შეზღუდვა უნდა იყოს დასახული მიზნის პროპორციული და თავად ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება. მართალია, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება წარმოადგენს ლეგიტიმურს, რამდენადაც იგი პირდაპირა წესრიგდება სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და ემსახურება კიდევაც სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მიზანს, თუმცა, როგორც ხსენებული ნორმა, ისე-ამ მუხლის მე-7 ნაწილი (სააპელაციო საჩივარზე ხარ-

⁸³ სუსგ 14 ივლისი, 2017, №ას-800-749-2017.

⁸⁴ სუსგ 15 თებერვალი, 2018, №ას-143-143-2018.

ვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით) უნდა განიმარტოს საქმის მასალებთან მჭიდროდ.

- სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზის გადაცილების ნაწილში მხარეს არასწორად დაუდგინდა ხარვეზი და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არასწორად დაედო საფუძვლად სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.⁸⁵

არათუ სააპელაციო სამართლნარმოების, არამედ საქმის განხილვის არცერთი ინსტანციის წესებით არ იქმნება შესაძლებლობა, სასამართლომ დაადგინოს ხარვეზი და მხარეს მოსთხოვოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზის განმარტება, რადგანაც, თუკი მოსამართლე დასკვნის, რომ გასაჩივრების საპროცესო ვადა დარღვეულია, მიუხედავად ამ ვადის დარღვევის საპატიო მიზეზის არსებობისა, ვალდებულია, საჩივარი დატოვოს განუხილველად, რადგანაც ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო/საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადით შეზღუდვა სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს ემყარება, თუმცა ეს ვადა სასამართლოს მხრიდან ყოველთვის ზედმინევნით უნდა იქნეს შესწავლილი, რათა დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს ამავე კოდექსის მე-2 მუხლით, ასევე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, ამასთანავე, სასამართლოს მხრიდან საკითხის ზუსტი ანალიზი უზრუნველყოფს მოგებული მხარის ინტერესების დაცვასაც, რაც გონივრული პროპორციაა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე (სსკ-ის მე-4 მუხლი).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუშვებელია, მხარეს წაერთვას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმის მასალების ანალიზით არ იქმნება უალტერნატივო დასკვნის საფუძველი იმისა, რომ თავად მხარემ დაარღვია ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

- საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო, დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის – დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით.⁸⁶

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, რადგან ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება-

⁸⁵ სუსგ 4 მაისი, 2018, №ას-282-282-2018.

⁸⁶ სუსგ 21 ნოემბერი, 2018, №ას-1022-2018.

ში მითითებული არ ყოფილა აპელანტის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და აპელანტს თავად უნდა განესაზღვრა იგი, ამ უკანასკნელს, მისი არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში, უნდა მისცემოდა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, კერძოდ, სასამართლოს, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრიდან ირკვეოდა დავის საგნის ღირებულება, აპელანტისათვის უნდა განემარტა თუ რა ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდა იყო საჭირო ხარვეზის სრულად შევსებისათვის.

- საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა გადაიხდა ბაჟი, მაგრამ გვიან წარადგინა სასამართლოში. ⁸⁷
- საკასაციო პალატამ აპელანტის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლის გამო, ვინაიდან აპელანტს კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული განჩინების ასლის მისაღებად საქალაქო სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არ შეუსრულებია. მხოლოდ მხარის განმარტება, რომ იგი ტელეფონით უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს და იგებდა განჩინების მომზადების შესახებ, ზემოთ მითითებული კანონის დანაწესის შესრულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული განჩინების ჩაპარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს. ⁸⁸

ანალოგიურად არ დააკმაყოფილა საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოცხადდა სასამართლოში, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაპარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას დაესწრო და აღნიშნული მომენტიდან მე-20-30-ე დღეებში გამოცხადდა სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა ვერ ჩაიბარა იგი სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების ვადაში მოუმზადებლობის გამო, უფლებამოსილია, წერილობითი მოთხოვნით მიმართოს ალინშნულ სასამართლოს. მას შემდეგ, რაც სასამართლო კანცელარიაში აისახება ამგვარი წერილობითი განაცხადი, სასამართლო მოვალეა, შესაბამისმა მოხელემ მხარის მოთხოვნას უპასუხოს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ არის. ამ მომენტიდან მხარე თავისუფლდება სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებისაგან და მის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყება დასაბუ-

⁸⁷ სუსგ 11 ნოემბერი, 2016, №ას-874-841-2016.

⁸⁸ სუსგ 16 მარტი, 2016, №ას-130-126-2016, 20 იანვარი, 2017, №ას-1061-1021-2016.

თებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაპარების მომენტიდან.⁸⁹

- ფოსტის მეშვეობით სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნა არ შეიძლება, ჩაითვალოს სსსკ-ის 259¹-ე მუხლით განსაზღვრული მხარის ვალდებულების განხორციელებად.⁹⁰
- სასამართლომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია არ მიიჩნია დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით მომზადების დასტურად.⁹¹
- სააპელაციო სასამართლომ განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოება-ში მიიღო და სასამართლო სხდომა ჩანიშნა, თუმცა წარმოებაში მიღების შემდეგ შეიტყო, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.⁹²
- ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის არაერთხელ გაგრძელება წარმოადგენს არა მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, რითაც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები ილახება, არამედ პროცესის გაჭიანურებასაც, რაც სასამართლოს მიერ საქმის განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის წინაპირობაა.⁹³
- იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამოყენებულ უნდა იქნეს ე.წ „პროპორციულობის ტესტი“, რომელიც მოიცავს იმ საკითხთა ანალიზს, ჩარევა იყო თუ არა ლეგიტიმური და არსებობდა კი ამის მწვავე აუცილებლობა, ანუ ესა თუ ის ქმედება მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება არის თუ არა. სააპელაციო სასამართლომ ორჯერ გაუგრძელა აპელანტს ხარვეზის შესავსები ვადა, ხოლო მესამედ არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებელი შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ფუნდამენტურ საფუძველს, საკონსტიტუციო დათქმის, ასევე, საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის ფარგლებში, წარმოადგენს მხარეთა თანასწორობის საფუძვლზე სამართალწარმოების განხორციელება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი პირის მიმართ ამა თუ იმ საპროცესო შედავათის გაწევისას, გასათვალისწინებელია მეორე მხარის ინტერესებიც. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის არაერთი შუამდგომლობა დააკმაყოფილა რა პალატამ და მას არაერთხელ დაუდგინა ვადა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისა, აპელანტს, ნაცვლად

⁸⁹ სუსგ 30 მარტი, 2016, №ას-204-194-2016, 7 აპრილი, 2017, №ას-205-194-2017, 20 იანვარი, 2017, №ას-1061-1021-2016, ასევე, 30 ივნისი, 2018, №ას-721-721-2018, ასევე სუსგ-ები: №ას-1040-994-2013, 9 დეკემბერი, 2013 ნელი, №ას-429-401-2017, 5 მაისი, 2017 ნელი, №ას-1478-1398-2017, 26 იანვარი, 2018 ნელი, №ას-221-221-2018, 29 ივნისი, 2018 ნელი.

⁹⁰ სუსგ 13 მაისი, 2016, №ას-249-237-2016.

⁹¹ სუსგ 21 სექტემბერი, 2016, №ას-770-738-2016.

⁹² სუსგ 29 ივნისი, 2016, №ას-618-590-2016.

⁹³ სუსგ 21 დეკემბერი, 2016, № ას-912-878-2016.

ხარვეზის, თუნდაც ნაწილობრივ გამოსწორებისა, მხოლოდ დაუსაბუთებელი შუ-ამდგომლობები შეჰქონდა სასამართლოში საპროცესო ვადის უკანასკნელ დღეს და ყოველგვარი მტკიცების გარეშე მოითხოვდა ვადის კვლავ გაგრძელებას. ამ შემთხვევაში, ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცული სიკეთის რეალიზაციისას ირლვეოდა ამავე კონვენციის პირველი დამატებით ოქმით დაცული აპელანტის მონინაალმდეგ მხარის ინტერესი, რადგან თავად აპელანტი, როგორც ითქვა, ყოველგვარი მტკიცების გარეშე ითხოვდა დანიშნული ვადის კვლავ გაგრძელებას, თავის მხრივ, არ გამოსწორდა რა არცერთ ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს სწორედ სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი წარმოადგენდა (იხ. ასევე საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი).

მოხმობილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ ჩარევას ჰქონდა ლეგიტიმური საფუძველი და იგი პროპორციული იყო მიზნის მისაღწევად (სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება), რის გამოც კერძო საჩივრის ავტორის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების (რაც მოიცავს სასამართლო ხელმისაწვდომობასაც) დარღვევის ფაქტი არ დგინდება.⁹⁴

- სსსკ-ის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის დათქმის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით გამოიკვეთა მხარის ინტერესი დავის მიმართ და საკუთარი ინიციატივით გაუგრძელა აპელანტს ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, არ გაეგრძელებინა საპროცესო ვადა აპელანტისათვის და იმთავითვე დაეტოვებინა სააპელაციო საჩივრი განუხილველად.⁹⁵
- არ შეიძლება, გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორებამ და შესწორებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემამ გავლენა მოახდინოს იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილ წესზე.⁹⁶

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეცდომით ასახული საქმისწარმოების შედეგის შესწორება არ შეიძლება, გახდეს სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაუბარებლობად მიჩნევისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების ვადის სხვაგვარად ათვლის საფუძველი.⁹⁷

- სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმაცია, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მხარეთათვის ცნობილია კანონის ამა თუ იმ დანაწესის შესახებ. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხის წარმომადგენელს სსსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა საქალაქო სასა-

⁹⁴ სუსგ 25 მაისი, 2017, №ას-234-222-2017, ასევე, 17 თებერვალი, 2017, №ას-1218-1177-2016.

⁹⁵ სუსგ 2 ნოემბერი, 2016, №ას-927-892-2016.

⁹⁶ სუსგ 27 სექტემბერი, 2018, №ას-769-769-2018.

⁹⁷ სუსგ 18 მაისი, 2017, № ას-239-227-2017, ასევე, სუსგ-ები: 29.06.2016, №ას-507-484-2016, 31 მარტი, 2017, №ას-288-272-2017.

მართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების დრო და ადგილი, მხარისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის პროცედურაც, რომლის დაცვითაც მისთვის არახელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას შეძლებდა.⁹⁸

- მხარემ უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს ამ უკანასკნელის მიერ სსსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით საპროცესო მოქმედების შესრულების შეუძლებლობას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.
- საკასაციო პალატის აზრით, სამართალწარმოების შეზღუდვაზე მოპასუხის მითითება ვერ გახდება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული პირის უფლება, თავის უფლებათა დასაცავად, მიმართოს სასამართლოს, სამოქალაქო პროცესში შეზღუდულია სამართალწარმოების ეკონომიურობისა და მხარეთა თანასწორობის დაცვის პრინციპებით. ცხადია, რომ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ „არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება, დაქვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება „თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება, განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე“ (იხ. *Golder judgment*, p. 19, para. 38, quoting the “Belgian Linguistic” judgment of 23 July 1968, Series A no. 6, p. 32, para. 5).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას უდგენს გარკვეულ შეზღუდვებს, მათ შორის, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (სსსკ-ის 46-48-ე მუხლები), ანესებს სააპელაციო საჩივრზე სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის ვალდებულებას (სსსკ-ის 38-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, 39.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 52-ე მუხლი) და გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს თავად სააპელაციო საჩივარს ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით (სსსკ-ის 372-ე, 177.3-ე და 368.1-ე მუხლები), რომელთა შესრულება სავალდებულოა აპელანტისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აპელანტი არ შეასრულებს კანონით დადგენილ ვალდებულებებს და სასამართლოს მითითებებს, იგი ვედარ დაეყრდნობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ვერ მოითხოვს მისი საქმის განხილვას, ვინაიდან მიიღებს იმ უარყოფით საპროცესო შედეგს, რასაც ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა კანონით დადგენილი ვალდებულებებისა თუ სასამართლოს მითითებების შეუსრულებლობისათვის (სსსკ-ის 59-ე, 63-ე, 368.5, 374.1 მუხლები).⁹⁹

- საკასაციო სასამართლომ საჩივრის ავტორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, რომ

⁹⁸ სუსგ 16 ნოემბერი, 2018, №ას-1430-2018.

⁹⁹ სუსგ 18 მაისი, 2018, №ას-366-366-2018, 1 მარტი, 2019 წელი, №ას-1829-2018.

სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას საპე-ლაციო სასამართლომ არ განუმარტა საპროცესო ვალდებულების არსებობის – სარჩელის შეტანის აუცილებლობის შესახებ და არ დაუდგინა მას საპროცესო ვა-და აღნიშნულის განსახორცილებელად, სასამართლომ განმარტა, რომ განმცხა-დებელს არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ ვალდებულებაც ჰქონდა, გაეთვა-ლისწინებინა კანონის დანაწესი, ვინაიდან კანონის არცოდნა ან მისი არასათანა-დოდ გაგება არ შეიძლება, იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათ-ვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.¹⁰⁰

- სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით უზრუნველყოფილი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება, გარკვე-ულ ლეგიტიმურ შეზღუდვებს ექვემდებარებოდეს. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამარ-თლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. მითითებული ნორმა თანაბრად ვრცელდება როგორც პირველი ინსტანციის, ისე – ამ ინსტანციის გადაწყვეტილების ზემდგომი წესით გასაჩივრების უფლებაზე. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ მა-გალითს საპროცესო ვადა წარმოადგენს, კერძოდ, სსსკ-ის 59-ე მუხლის პირ-ველი და მე-4 ნაწილების თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კა-ნონით დადგენილი ვადის მიხედვით. სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან ალდგენა დაუშვებელია. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ალდგენა დაუშვებელია, ანუ იმ პირობებშიც კი, თუ საქმეზე წარდგენილი მტკიცებუ-ლებებით დადასტურდება გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირის მი-ერ სასამართლოში საჩივრის საპატიო მიზეზით წარდგენის შეუძლებლობა, კანონი არ უშვებს დარღვეული საპროცესო ვადის ალდგენას.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს საერ-თაშორისო პრაქტიკიც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლება საჭიროებს სა-ხელმწიფოს მხრიდან რეგლამენტაციას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დრო-ისა და ადგილის, საზოგადოებისა და პირის მოთხოვნილებებისა და რესურსების მი-ხედვით. საქმეზე – „აშინგდეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა უფლების შეზღუდვის ზოგადი ფარგლები: შეზღუდვები შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს იმ შემთხვე-ვაში, თუ: ა) ემსახურება კანონიერ მიზანს, ბ) დაცულია გონივრული თანაბარზომიე-რება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის (*Ashingdane v. The United Kingdom, №. 8225/78, §57, 28 მაისი, 1985 წელი*). ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდო-მობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.¹⁰¹

¹⁰⁰ სუსგ 1 თებერვალი 2017, №ას-108-101-2017.

¹⁰¹ სუსგ 28 აპრილი, 2017, №ას-45-41-2017.

- სსსკ-ის 426-ე მუხლის მეოთხე ნაწილის იმპერატიული ნორმის თავისებურება ისაა, რომ არ იქმნება ნორმაში მოცემული დანაწესისაგან სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობა. მასში მითითებული ქცევის წესი მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა, ამასთან, აღნიშნული ნორმით არ არის გათვალისწინებული მოცემული ვადის არც გაგრძელების, აღდგენისა და არც შეჩერების შესაძლებლობა. ნორმის იმპერატიული ხასიათი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ამასთან, აღნიშნულით დაცულია არა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი, არამედ ნებისმიერი პირის კანონიერი, სამართლიანი და საფუძვლიანი ნდობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ.¹⁰²

სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული 5-ნლიანი ხანდაზმულობის ვადის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ იგი წარმოადგენს აღმკვეთ ვადას, რომელიც გვხვდება არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობაში, არამედ – როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართლებრივ სივრცეში. საკმარისია, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გაუქმდეს საქმის განახლების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის 5-ნლიანი ვადა, რომ დავა და კონფლიქტი საბოლოოდ ვერასდროს გადაწყდება და შედეგად „პროცესის უკვდავებას“ მივიღებთ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს. კანონმდებლის მიერ 5-ნლიანი იმპერატიული ვადის დადგენით ისპობა ამ უფლებასთან დაკავშირებით ახალი დავის წარმოშობის შესაძლებლობა. სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი გამართლებულია სამართალში არსებული უფლებრივი წესრიგით. უფლება, როგორც ფასეულობა, არ შეიძლება, იყოს მუდმივი, განუსაზღვრელი, საეჭვო (საცილო). თუკი კანონმდებლობა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, უსასრულოდ დაუშვებდა უფლების საეჭვოობის შესაძლებლობას, ეს თვით უფლების იდეის საწინააღმდეგო იქნებოდა და საფუძველს გამოაცლიდა სამართლებრივ წესრიგს. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლება გამონაკლისი შემთხვევაა. ამ გამონაკლისის დაშვებით საფრთხე არ უნდა შეექმნას იმ ზოგად წესს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ვინაიდან, უფლების შესახებ დავა ყოველთვის ქმნის ამ უფლების განუსაზღვრელობას, სასამართლო ვალდებულია, წერტილი დაუსვას ასეთ მდგომარეობას და გადაწყვიტოს იგი. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვეშდაყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფუძველი გამოეცლებოდა სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/161, „ოლღა სუმბათაშვილი და ივორ ხრაპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).¹⁰³

¹⁰² სუსგ 7 მარტი, 2018, № ას-1560-1480-2017, 17 ნოემბერი, 2017, №ას-1261-1181-2017.

¹⁰³ სუსგ 7 მარტი, 2018, № ას-1560-1480-2017.

სამართლებრივ დასკვნაში მითითებული და საპროცესო ვადების დაცვასთან დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტების გაცნობა დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ იურისტებს, ადვოკატებს, მხარეებს, მიიღონ ინფორმაცია, არა მარტო ქართული, არამედ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების პრინციპის წარმატებულ რეალიზაციას სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge

